# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 16 ნოემბერი 2007 №266 (3189) ფასი 50 თეთრი






*ილია ნანობაშვილი დოჰადან*



# ჩვენ კი გვცხელა, მაგრამ ჩვენთვის არ სცხელათ

## მენთეშაშვილი ძალიან საეჭვოა, სირაძე გამოირიცხა

**ა**Უ, ეს რა ამბავია, რა სიცხეა, ამ ნოემბერში გაოფლიანებაღა გვაკლდა — ასეთი იყო ქართული დელეგაციის პირველი რეაქცია, დოჰაში ჩაფრენის მერე. აქაური დროით, ზუსტად 13 საათზე ჩამოვედით, სად არიან ჟურნალისტები ან ფოტოგრაფები, ერთი მედიელი არ დაგვხვედრია...

ნაკრებთან ერთადაა დავით სირაძეც, რომელიც თბილისში დოჰაში გამოფრენამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოვიდა.

აეროპორტიდან ეროვნული ნაკრების ავტობუსი პირდაპირ სასტუმრო „რამადას" გზას დაადგა. ცხელოდა კი არა, მაგრადაც ცხელოდა, თან რაღაცნაირად ჩახუთული სიცხე იყო. საღამოს ნიავმა დაუბერა და ცოტა აგრილდა.

...სპარსეთისყურა პლაჟზე გავისეირნეთ. 7 კილომეტრზეა გადაჭიმული. პალმები, მზე და ულამაზესი შენობები — აშკარაა, დალხენილ ქვეყანაში მოვხვდით...

...ქალაქი ძალიან ლამაზია, მაგრამ ჯერაც შენების პროცესშია — ამიტომაც მოუყრია თავი აქ ამდენ აფრიკელ შავ მუშას...

...მძღოლი, რომელმაც სასტუმრომდე მიმიყვანა, ეთიოპიელი იყო: ორი წელია, აქ ვარ, მუშაობა-ჭამა, მუშაობა-ჭამა, მეტი გასართობი არ მაქვსო. მანვე მითხრა, ფეხბურთი ძალიან უყვართ ყატარელებსო. მგონი, აჭარბებდა — მე სამისო ვერაფერი შევნიშნე, ნახევარი ქალაქის შემოვლა მომიხდა და ერთი მინი-მოედანიც კი არ დამინახავს.

საქართველო კი, აზრზე არ არიან, სად არის. არც აინტერესებთ. როცა ვუხსნი, ყატარის და საქართველოს ამხანაგური მატჩია-მეთქი, ყურსაც არ იბერტყავენ.

არა, ნახევარ დოჰასთან ფეხბურთზე და საქართველოზე ცხადია, არ მისაუბრია, მაგრამ ვისაც ველაპარაკე, ნაღდად არ აინტერესებდათ...

საღამოს 19 საათზე საქართველოს ეროვნული ნაკრები დოჰას „ალ გარაფას სპორტკლუბის" სტადიონს მიადგა. მშვენიერი სარბიელია, დაახლოებით 20 000 ქომაგს იტევს და ქალაქგარეთაა, დაახლოებით, თბილისიდან საგურამო. სტადიონის გარშემო ორი სტანდარტული სტადიონია (თუმც ტრიბუნების გარეშე), იქვე კი უზარმაზარი სპორტული კომპლექსია.

ქართველთა ვარჯიში საათსა და 15 წუთს გაგრძელდა. იყო კარში დარტყმები და ნახევარ მოედანზე ორკარა. დავით სირაძე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. ზურაბ მენთეშაშვილი კი შუა ვარჯიშისას დაშავდა.

„კუნთი ვიტკინე და, სავარაუდოდ, ხვალინდელი თამაში გამიცდება" — გვითხრა მენთეშაშვილმა.

რაც შეეხება სირაძეს, მას „პადერბორნის" ბოლო მატჩში კოჭში ჩაარტყეს და გუშინ ამიტომაც ვერ ივარჯიშა. კლაუს ტოპმიოლერმა კი გვითხრა, მისი ყატართან თამაში გამორიცხულიაო.

სხვა მხრივ, ჩვეულებრივი ვარჯიში იყო და ძირითადი შემადგენლობის მოხაზვაც შეიძლება: ტოპმ 10-10-ზე ათამაშა გუნდი და „ძირითადები" ესენი იყვნენ: როინ კვასხვაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა კალაძე, ლევან ცქიტიშვილი, დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა, შოთა გრიგალაშვილი, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და მალხაზ ასათიანი. ეს ათეული, ალბათ, პირველივე წუთიდან ითამაშებს.

ვარჯიშის შემდეგ *კლაუს ტოპმოლერს* გავესაუბრეთ:

— კარგი ვარჯიში გამოვიდა, კმაყოფილი ვარ ბიჭების მზადებით და იმედია, ამ კარგ განწყობას ხვალ მინდორზეც გადავიტანთ.

— შესაძლოა, ხვალ რომელიმე დებიუტანტი ძირითადში ათამაშოთ?

— სიმართლე გითხრათ, შემადგენლობა უკვე შერჩეული მყავდა, მაგრამ მენთეშაშვილმა ტრავმა მიიღო და...

— მისი თამაში გამორიცხულია?

— მენთეშაშვილის ამბავი საეჭვოა, სირაძის თამაში კი გამორიცხულია.

— ისე ჩანდა, ვარჯიშზე ასათიანი ნახევარდაცვაში გყავდათ. შესაძლოა, წინ ათამაშოთ?

— არა, ეს, უბრალოდ, ორკარა იყო.

— ყატართან და ლიტვასთან მატჩებს ერთნაირი მოტივაციით ხვდებით?

— თამაში თამაშია, თუმც ხვალ მხოლოდ ტესტ-მატჩია, ლიტვასთან კი მხოლოდ და მხოლოდ შედეგზე ვიქნებით ორიენტირებულნი.

და კიდევ, ვარჯიშზე ერთი რაგალიანი (ნაციონალური თავსაბურავი) ფოტორეპორტიორი მოვიდა — მხოლოდ 15 წუთით შემოიარა, გადაიღო და წავიდა...

ნოდარ ახალკაცი, უჩა უგულავა, გრიგოლ ცაავა, დიმიტრი რამიშვილი, გოგი ქავთარაძე — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ვარჯიშს უყურებდნენ, დროდადრო კი ერთ უცხო, 35-40 წლის ქართველ კაცს ესაუბრებოდნენ — ეს კაცი ყატარში მცხოვრები ბათუმელი აღმოჩნდა, 6 თვის წინ ჩავიდა სპარსეთისყურა ქვეყანაში სამუშაოდ.

მან ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუმც ძალიან გულღიად გველაპარაკა.

გახარებული იყოო, რომ ვთქვათ ამ კაცზე, ეს იგივეა, რაც არაფერი არ ვთქვათ: მეცხრე ცაზე იყო, ჩემი ხალხი ვნახეო...

ბათუმელ-ყატარელ კაცს გვერდით მეუღლე და შვილები, 5 წლის თამარი და 4 წლის ზურაბი ჰყავდა. ფედერაციის ხელმძღვანელებმა და ფეხბურთელებმა ბავშვებს ლექსებიც ათქმევინეს, ბურთიც გააგორებინეს...

— აქ ექიმად ვმუშაობ. ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ მაქვს. უბრალოდ, ძალიან მიყვარს და ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ საქართველოს ნაკრები ჩამოდიოდა.

— აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს?

— სულ სამნი ვართ და ხომ წარმოგიდგენიათ, ხვალ როგორ ვუქომაგებთ ჩვენებს. უნდა მოვიგოთ! მინდა, რომ დროშაც ვიშოვო და ვნახოთ...

— აქაურებს უყვართ ფეხბურთი?

— საკმაოდ. ყველანაირი გასართობი უყვართ. ხომ ხედავთ, როგორი სტადიონებია... დიდი ფული ჩაიდო ფეხბურთში და მთლად ცუდი შედეგებიც არა აქვთ. აქ ყველა კლუბს უცხოელი წვრთნის. განსაკუთრებით პოპულარულები კი ბრაზილიელი ლეგიონერები არიან...

— როგორი ხალხია?

— ულამაზესი ქვეყანაა და მშვიდი ცხოვრების პრობლემა არავის აქვს. ძალიან თბილი და უწყინარი ხალხია...

— გულშემატკივრები აგრესიულები არიან?

— არა. ხმაურიანები არიან, მაგრამ ჩხუბი და ასეთი რამე გამორიცხულია. აი, ხვალ თავადაც ნახავთ.

აი, ასეთი ამბებია ყატარის დედაქალაქ დოჰაში...

და ერთიც: შესაძლოა, დღეს ნაკრებმა დოჰაში გაისეირნოს — მე თქვენ გეტყვით, ცოტაა სანახავი...

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ლიტვას არ ეშინია და უეფას ელის



ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლიუტაურას ვარანავიჩიუსი

**საქართველოში** შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და საგანგებო ვითარების შემოღებამ ლიტველები, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა და საქართველო — ლიტვის გამართვა ეჭვქვეშ დადგა.

როგორც ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი წერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მიიღეს წერილი, რომელშიც შავით თეთრზე წერია:

„გვსურს, ლიტვის ფეხბურთის ფედერაციასა და უეფას მივაწოდოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ დროისთვის საქართველოში სტაბილური სიტუაციაა და ვერ ვხედავთ საქართველო — ლიტვის მატჩის გადადების საფუძველს.

თავდაცვის სამინისტროსთან და პოლიციასთან ერთად, ვიძლევით გარანტიას, რომ ლიტვის ნაკრების ვიზიტი მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდგომ უსაფრთხო იქნება.

ყველაფერს ვამზადებთ საიმისოდ, რათა არასასიამოვნო სიტუაციები თავიდან ავიცილოთ".

როგორც წერილიდან ჩანს, ეს განმარტება ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის გარდა, უეფასაც გაეგზავნა. მართალია, ლიტველებმა საქართველოში ჩამოსვლის განრიგი უკვე შეადგინეს, თუმც საბოლოო პასუხს ჯერაც უეფადან ელიან.

„უეფადან ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური ცნობა არ მოსულა, მაგრამ, როგორც გაირკვა, უეფა თავის პასუხს პარასკევს მოგვწერს" — წერს ვებგვერდი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გადმოსახლება თბილისში

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები 21 ნოემბერს ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლო მატჩს გამართავს ლიტვის ნაკრებთან.

ლიტველები გულმოდგინედ ემზადებიან ამ მატჩისთვის, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ვინ დაიკავებს ჯგუფში მეოთხე და მეხუთე ადგილებს.

ბალტიისპირელები ქართველებთან თამაშ, დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ, იმ ოფიციალურ პირების რაოდენობიდანაც ჩანს, გუნდთან ერთად თბილისში რომ აპირებენ ჩამოსვლას.

ლიტველები თბილისში 19 ნოემბერს ჩამოფრინდებიან და სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავდებიან. იმავე დღეს, 19 საათზე, პირველ ვარჯიშს გამართავენ, ხოლო 20-ში იმავე დროს „ეროვნულზე" მეორედ ივარჯიშებენ.

დელეგაციის წევრები არიან: ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლიუტაურას ვარანავიჩიუსი, გენერალური მდივანი იულიუს კვედარასი, მენეჯერი ვლადიმირს ბუზმაკოვასი, მარკეტინგის დირექტორი ჰაეფგენ ტონი, საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი ვივა ზიზაიტე და ნაკრებთა დირექტორი რობერტას ტაუტკუსი.

შეგახსენებთ, რომ საქართველო — ლიტვა 21 ნოემბერს „ეროვნულზე" 19.30 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ნაცნობები მაკედონიიდან

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები 21 ნოემბერს თბილისში ევრო 2008-ის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში ლიტვას უმასპინძლებს. შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე 19.30 საათზე დაიწყება და მატჩს მაკედონიელი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი — ალექსანდრ სტავრევი, თანამსაჯები — მარიან კიროვსკი და ლუბომირ კრშტევსკი, მეოთხე მსაჯი — დიმიტარ მეჩკაროვსკი.

მსაჯთა დამკვირვებლის მოვალეობას შვეიცარიელი ა. შლუხტერი შეასრულებს, ხოლო უეფას დელეგატი ბულგარელი ი. ლეკოვი იქნება.



ალექსანდრ სტავრევი

ცნობისთვის: ალექსანდრ სტავრევი და მარიან კიროვსკი 20 ოქტომბერს საქართველო — ნორვეგიის, ხოლო 23 ოქტომბერს საქართველო — ლატვიის 19-წლამდელთა მატჩებს სჯიდნენ.

**ბახა ზალამბერიძე**

# ყატარი — საქართველო არ იქნებაო

**იმედი** გვქონდა, ყატარი — საქართველოს ამხანაგურ მატჩს დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით ვიხილავდით, მაგრამ, როგორც გუშინ შევიტყვეთ, ყატარულ მხარესთან წამოწყებული მოლაპარაკება გამოუვალ ჩიხში შევიდა.

„თავად ყატარელებს არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, აჩვენებდნენ თუ არა ამ მატჩს პირდაპირ ეთერში, ამიტომ მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, დასრულებულია და ქართველ გულშემატკივრებს ამ მატჩს ველარ ვაჩვენებთ" — გვითხრა საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული რედაქციის ხელმძღვანელმა დავით მინაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გიორგი დემეტრაძე და საქართველო აზიელთაგან ბოლოს იორდანიას გაეჯიბრნენ

# მინუს-აზია
## საქართველოს თავისი ანგარიშები აქვს

**დასანანია,** მაგრამ საქართველოს ნაკრებს აზიურ გუნდებთანაც კი უარყოფითი ბალანსი აქვს — მართალია, სულ ექვსი მატჩი გაუმართავს და აქედან ბოლო სამში დადებითი შედეგი ჰქონდა, მაგრამ პირველი სამი თამაში წააგო.

აზიელებთან პირველი ნათლობა 1996 წლის მიწურულს შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური თამაშები იყო, ლიბანთან ორგზის წაგება სირცხვილად მივიღეთ. ეს იყო ინგლისთან შინ 0:2 წაგებული შესარჩევი მატჩიდან ერთი თვის თავზე.

მესამე აზიური შეხვედრა ქართველებს ირანში ჰქონდათ და ისევ მარცხი — იმ დროს ნაკრებს დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდნენ. თუმც ირანი ლიბანი როდია, იმ დროს აზიაში უძლიერესი გუნდი იყო.

ბოლო სამი ქართულ-აზიური შერკინება კი გაიოზ დარსაძის მწვრთნელობისას შედგა. მართალია, ყაზახეთი უეფაშია გაწევრიანებული, მაგრამ ამ ქვეყანას ევროპულს ვერანაირად ვერ დავარქმევთ: ყაზახეთში ამაზრზენი პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ, თუმც შესვენების შემდეგ მხოლოდ საქართველოს ნაკრები თამაშობდა და გიორგი დემეტრაძემ ჯერ ჯარიმით გაათანაბრა, ბოლოს კი თავით შეუგდო ყაზახთა ქართველ მეკარე დავით ლორიას.

ეს დარსაძის სადებიუტო მატჩი იყო ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. თვენახევარში ყაზახები თბილისში ვისტუმრეთ და ისტორიული ქულა ავალებინეთ — 0:0. იმ დროს გაიოზ დარსაძის თავს კრიტიკის ქარიშხალი ქროდა და ყველა მწვრთნელის შეცვლას ითხოვდა.

ჰო, დემეტრაძეს თბილისშიც შეეძლო ყაზახების დამწუხრება, მაგრამ პენალტი გააცუდა.

და აზელებთან ბოლო დაპირისპირებაც: 16 ნოემბერს თბილისში იორდანია ჩამოვიდა, გულშემატკივრებმა სტვენით გააყრუეს ჩვენი ნაკრები და განსაკუთრებით, მთავარი მწვრთნელი.

საქართველომ წვალებით მოიგო. დემეტრაძისა და შოთა არველაძის გოლებით შემოატრიალა თამაში — 3:2.

თუმც ეს დარსაძის ბოლო მატჩიც იყო ნაკრებში...

ახლა კი კლაუს ტოპმიოლერი ქართველთათვის უცნობ ყატართან შეეცდება მოგებას.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 დეკემბერი | 1996 | ლიბანი | 2:4 | ა. იაშვილი, გ. კინკაძე |
| 8 დეკემბერი | 1996 | ლიბანი | 2:3 | გ. გახოკიძე, ლ. ცქიტიშვილი |
| 16 აგვისტო | 2000 | ირანი | 1:2 | მ. ყაველაშვილი |
| 19 აგვისტო | 2005 | ყაზახეთი | 2:1 | გ. დემეტრაძე (2) |
| 8 ოქტომბერი | 2005 | ყაზახეთი | 0:0 | |
| 16 ნოემბერი | 2005 | იორდანია | 3:2 | გ. დემეტრაძე (2), შ. არველაძე |

## პოლონეთი

ლიგის თასი. IV ტური. A ჯგუფი

ლეგია 0:0 გროცლინი

# ტრაპიზონში დარია ღვინიანიძის ტრავმა საშიში არ არისო...



**გუშინდელ** „სარბიელში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ხორვატმა გვითხრა, რომ წვიმის გამო ერთი ვარჯიში გაუცდათ, თუმც როგორც შევიტყვეთ, გუშინ ტრაპიზონში გამოიდარა და ჩვენებიც ჩვეულებრივ აგრძელებენ საწვრთნელ პროცესს.

სიახლე ისაა, რომ ოდნავ აწუხებს მუხლის ტკივილი მათე ღვინიანიძეს, მაგრამ საგანგაშო არაფერი ყოფილა — „მიუნხენ 1860"-ის მცველი რუსებთან თამაშს შეძლებს.

საგანგებო პროგრამით ვარჯიშობს კარლცაისელი რევაზ ბარაბაძე, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა აკლია.

სეგრტმა გუშინ ჩვენთან საუბრისას ორი ახალწვეულიც შეაქო — ფრაიბურგელი დავით თარგამაძე და ოლიმპელი ზაქარია ბეგლარიშვილი.

როგორც ხორვატმა მწვრთნელმა გვითხრა, დებიუტანტებმა რუსეთთან მნიშვნელოვან შეიძლება არ ითამაშონ, თუმც სხვა შეხვედრებში აუცილებლად მივცემ შანსსო.

**ნუკრი ლოლაძე**

# რუსებმა დატვირთვა გაიორმაგეს



**რუსეთის** ახალგაზრდული ნაკრები ანთალიაში ემზადება საქართველოსთან სათამაშოდ და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა შეგირდებს ორჯერადი ვარჯიშები დაუნიშნა — დილით და საღამოს.

სტუკალოვის თქმით, 19-ივე ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

რუსები 17 ნოემბრამდე დარჩებიან თურქეთში, 18-ში გამთენიისას კი თბილისში ჩამოვლენ და სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდებიან. 17 საათზე პირველ წვრთნას გამართავენ, მეორე დღეს კი 18 საათზე ივარჯიშებენ.

საქართველო — რუსეთს ბერძენ მსაჯთა ოთხეული რომ მოემსახურება, უკვე გამცნეთ, ახლა კი ცნობილია, რომ მსაჯთა დამკვირვებელი გერმანელი ბერნდ ჰაინემანი იქნება, უეფას დელეგატი კი — ალბანელი ბუჯარ კასმი.

მატჩი 20 ნოემბერს „მიხეილ მესხზე" 19 საათზე დაიწყება.

**ბახა ზალამბერიძე**

# ფოლკსვაგენი სუპერთასს გააძვირებს



**საქართველოს** სუპერთასის, ანუ „ფოლკსვაგენის თასის" წლევანდელი გათამაშება სად და როდის გაიმართება, ხვალ პროფლიგის გამგეობის სხდომაზე გადაწყდება. „ოლიმპი" — „ამერის" მატჩის ჩატარების სავარაუდო თარიღი 9 დეკემბერია, ხოლო ადგილი გორის ან ზუგდიდის სტადიონი.

„ფოლკსვაგენის თასის" მფლობელი, ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც 10 ათასს ლარს მიიღებს, საგაისოდ კი საპრიზო ფონდი ალბათ მნიშვნელოვნად გაიზრდება. საქმე ისაა, რომ პროფლიგამ და კომპანია „ფოლკსვაგენის" აქაურმა წარმომადგენლობამ კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე უკვე დაიწყეს მოლაპარაკება.

პროფლიგისა და „ფოლკსვაგენის" მოქმედი კონტრაქტი სწორედ 9 დეკემბრის მატჩის შემდეგ დამთავრდება, ხოლო ამჟამად ყველაფერი იქით მიდის, რომ პროფლიგა და ცნობილი საავტომობილო ფირმა ურთიერთობას კიდევ რამდენიმე წლით გახანგრძლივებენ.

კონტრაქტის გაგრძელებაზე თანახმა არის „ფოლკსვაგენის" სათავო ოფისიც, საიდანაც სამწლიანი და ორმხრივად კიდევ უფრო სასარგებლო თანამშრომლობის სურვილი შემოთვალეს.

სუპერთასის მატჩის საკუთარი ბრენდის სახელით ჩატარება პროფლიგას სხვა არანაკლებ ცნობილმა კომპანიებმაც შესთავაზეს, თუმცა ძველი კონტრაქტით პროფლიგა ვალდებულია, მოლაპარაკება ჯერ სწორედ „ფოლკსვაგენთან" დაიწყოს და მერე სხვებთან...

**კობა ინასარიძე**

# წლეულს დარბაზი, გაისად ბაზა
## მახარაძემ სხვა ზესტაფონი ათამაშა

**საქართველოს** ჩემპიონატში მოთამაშე კლუბების უმრავლესობას საწვრთნელი ბაზა არ გააჩნია. „ზესტაფონის" ხელმძღვანელობა კი ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს და, სავარაუდოდ, 2008 წელს ზესტაფონში ბაზის მშენებლობა დაიწყება, მანამდე კი ზესტაფონელებმა ერთი კარგი საქმე წამოიწყეს — ცენტრალური სტადიონის ტრიბუნების ქვეშ ადრე სპორტული კომპლექსი იყო, თუმც წლობით მიუხედაობამ გააპარტახა და გამოუყენებელი გახადა. ახლა კი მისი განახლება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. იქ განთავსდება თანამედროვე სატრენაჟორო დარბაზი, თავისი გასახდელებით და საშხაპეებით.

კომპლექსის რეაბილიტაცია ახალ წლამდე დასრულდება.

გუშინ კი „ზესტაფონმა" თბილისში ამხანაგური მატჩი გამართა პირველლიგელ „ნორჩი დინამო-მერანი 2"-თან და 2:0 იმარჯვა. თემურ მახარაძის გუნდი მე-16 წუთზე ლაშა ჩაჩიბაიამ დააწინაურა. მიუხედავად იმისა, რომ იმერლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, სხვაობა ვერ გაზარდეს 83-ე წუთამდე, როცა თავი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ გამოიჩინა.

ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჭანტურია (ჯალალონია), ქორიძე (გელაჭეიშვილი), საჯაია, ხუმარაშვილი, ს. თოდუა (სურმავა), ჯიშკარიანი (ვავაშელიშვილი), გორგიაშვილი (ახალბედაშვილი), გ. ნუგ. ჭელიძე (მაისურაძე), ჩაჩიბაია, ფიფია, სოფრომაძე.*

„ზესტაფონი" შინ ხვალ დაბრუნდება და მომავალ მატჩებისთვის მზადებას იქ გააგრძელებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# მერებაშვილი და მოგება დინამოდან
## კარგი ამბავი სეგრტისთვის

**აქამდე** საგანგებო მდგომარეობის, ახლა კი სანაკრებო მატჩების გამო შექმნილი შესვენება თბილისის „დინამომ" ნაყოფიერად გამოიყენა და უკვე მეორე ამხანაგური მატჩი გამართა — დიღმის ბაზაზე ცხინვალის „სპარტაკს" 4:0 მოუგო.

გოლები ჟორჟ აკირემიმ, მიხეილ ხუციშვილმა, გიორგი მერებაშვილმა და ლევან ხმალაძემ გაიტანეს.

დუშან უპრინმა ტრავმის გამო ვერ ათამაშა გურამ კაშია, ხოლო სანდრო კობახიძე, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ლორია და ილია სპასოევიჩი საქართველოს და ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი.

ახალგაზრდულს უნდა გაჰყოლოდა მერებაშვილიც, თუმცა ის ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო და პეტარ სეგრტმა თბილისში დატოვა იმ იმედით, რომ თურქეთიდან დაბრუნებულს გიორგი მწყობრში დახვდებოდა. როგორც ხედავთ, „დინამოსა" და ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ცხინვალელებთან გოლითაც კი გამოიჩინა თავი და ალბათ 21-წლამდელებს რუსებთან მატჩშიც შეეშველება 20 ნოემბერს.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*დინამო: ოვონო, დობეში, კრუშკო, ზელიჩი, შ. კაშია, ოდიკაძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გრიშიკაშვილი, ფეიქრიშვილი, ვაწაძე, ფირცხალავა, გველესიანი, გონჩაროვი.*

*სპარტაკი: ქვილითაია, კეტაშვილი, ხაჭიპერიძე, ბახტურიძე, მამუკაშვილი, გოგოხია, კუპრეიშვილი, ძარია, თარხნიშვილი, დარბაიძე, ჯანელიძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: კოდალაევი, პარამონოვი, ცქიტაია, მელოევი, გოგოლაძე, გ. თურმანიძე, ქ. ავალიანი, დათუნაშვილი, ივანიშვილი.*

და ერთიც: შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „დინამო" პირველლიგელ „გაგრას" 2:2 დაუზავდა.

**ბახა ზალამბერიძე**



გიორგი მერებაშვილი გამოჯანმრთელდა

# გოგუა ჭელიძის გზაზე
## მეორე ქართველი რუსულ ფილმში

**თებერვალში** რუსეთში ახალი, 40-სერიანი ფილმი გამოვა, რომელიც მეტწილად სპორტულ თემატიკაზეა გადაღებული.

პროექტის სამუშაო სახელწოდებაა „გუნდი". ჩვენთვის კი ეს ამბავი იმითაა საინტერესო, რომ ეპიზოდურ როლს სატურნელი გოგიტა გოგუა ითამაშებს.

ფილმში სიუჟეტი ასე ვითარდება — ხელოვნურად შექმნილ მოსკოვის „არსენალის" მეტოქე რამენსკოეს „სატურნია" და გარდა თამაშისა, ტელესერიალში სატურნელთა ვარჯიშებიცაა აღწერილი.



რეჟისორები არც იმას გამორიცხავენ, რომ რომელიმე პროფესიონალი ფეხბურთელი პერსონალურადაც გადაიღონ სხვა ეპიზოდურ როლებში.

რუსეთში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ქართველი ფეხბურთელი ფილმში გადაიღეს — პირველად, რამდენიმე თვის წინ, მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე მოხვდა რუსი რეჟისორების ყურადღების ცენტრში. გოგუასგან განსხვავებით, „პაჭელო" ბოევიკში („უკუათვლა") გადაიღეს და, ცხადია, მისი როლიც ფეხბურთელობა გახლდათ.

**ბახა ზალამბერიძე**



AFP

# ფული და სირცხვილი

## პლატინის უნდა, მაგრამ ევროპას არ უნდა

**უეფა** რევოლუციური ცვლილებებისთვის ემზადება. უკვე ცნობილია, რომ დეკემბრის კონგრესზე ევროპული ფეხბურთის მამები, მიშელ პლატინის თამადობით, ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის — ჩემპიონთა ლიგის ფორმატს შეცვლიან.

...2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ამბები ალბათ კარგად გახსოვთ. მაშინ მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, ხოლო იმ ლიგის გამარჯვებული „ლივერპული" გახდა. დრამატული ფინალიც გეხსომებათ, „მილანი" რომ 3:0 იგებდა და პენალტების სერიით წაგებული დარჩა.

ჩემპიონთა ლიგის მომდევნო, ანუ შარშანდელ გათამაშებაში „ლივერპულის" ადგილი არ ჩანდა. გუნდი შინაურ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, თუმცა მერე ერთი ვაივიში ატყდა, ლიგის მომგები ულიგოდ როგორ უნდა დარჩესო და... ასევე ლივერპულური „ევერტონი", რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა და ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ადგილი ავტომატურად მიიღო, „ლივერპულით" ჩაანაცვლეს, თუმცა რაფაელ ბენიტესის გუნდს გათამაშების დაწყება მესამე ეტაპიდან უბრძანეს. ეს „ლივერპულისთვის", როგორც ლიგის მომგებისთვის, ერთგვარი შეღავათი იყო. ხოლო „ევერტონი" უეფას თასზე გადაისროლეს.

სხვათა შორის, როცა „ლივერპულმა" ლიგის თამაშები მესამე საკვალიფიკაციოდან დაიწყო, პირველ მეტოქედ უელსის ჩემპიონი „ლანსანტფრეიდი" ერგო. ინგლისელებმა, ცხადია, შეხვედრა მოიგეს, ხოლო უელსელებმა — ფული.

უეფა ახლა შეღავათებსა და მისთანებს აღარ დაუშვებს. პლატინის სურს, რომ ბობოლა და მდიდარ კლუბებს რაღაცნაირად სხვებიც გაუთანაბროს და ჩემპიონთა ლიგის გათამაშება უფრო პოპულარული გახადოს. უეფა, ასე ვთქვათ, „დიდების" შევიწროვების ხარჯზე „პატარებს" უხსნის სარბიელს. სწორედ მიშელ პლატინის პრეზიდენტობისას იყო, უკრაინამ და პოლონეთმა ევრო 2012-ის ჩატარების უფლება რომ მიიღეს. უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში მიშელ პლატინის მთავარი დასაყრდენი სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გახლდათ.

მოკლედ, პლატინის ხელმძღვანელობით უეფას სურს, ჩემპიონთა ლიგაში შედარებით უფულო გუნდებმაც ითამაშონ და ევროპული ფეხბურთი მხოლოდ ინგლისს, იტალიას, გერმანიასა და ესპანეთს არ დარჩეს.

საქართველო უეფას წევრია, პლატინის რეფორმები, რა თქმა უნდა, ჩვენც შეგვეხება და, მოდით, ახლაის ვთქვათ, რას უნდა ველოდოთ...

საქართველოს ჩემპიონ თბილისის „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრის ყველაზე რეალური შანსი 1998 წელს ჰქონდა. მაშინ სამი საკვალიფიკაციო ეტაპი არ იყო და „დინამო" ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის" ბარიერის გადალახვის შემდეგ ესპანურ „ატლეტიკს" შეხვდა. თბილისში ჩვენებმა 2:1 მოიგეს, ბილბაოში კი ერთადერთი გოლი ბოლოსკენ გაუშვეს და ჯგუფში „იუვენტუსთან" შეხვედრას ასცდნენ.

პლატინის მმართველობისას კი, საქართველოს გუნდებს კიდევ მიეცემათ შანსი, სახელოვან ევროპულ მეტოქეებს დაუპირისპირდნენ. მაგალითისთვის, დეკემბერში მისაღები კანონი უეფას რამდენიმე თვის წინ რომ მიეღო, ხოლო ჩვენი ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი" ყაზახურ „ასტანასთან" არ შერცხვენილიყო, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე შეიძლებოდა „ვალენსიას", „სევილიას", „ლაციოს", „ლივერპულს", „არსენალს" და „ვერდერს" შეხვედროდა. არაფერს ვამბობთ არც „აიაქსზე", „ბენფიკაზე", პსჟ-ზე, „სელტიკზე", „ანდერლეხტსა" და...

უეფას რევოლუციით კი, როგორც გუშინწინდელ „სარბიელში" ეწერა, საქართველოს ჩემპიონს უკვე მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, დაახლოებით ზემოჩამოთვლილი სახელისა და გაქანების მეტოქეებთან ექნება საქმე. ეს კი, ერთი მხრივ, კარგიცაა და ცუდიც.

კარგი იქნება, რომ ჩვენი ჩემპიონი ბობოლა გუნდებთან შეხვედრით ალბათ ფულს იშოვნის, კლასს აიმაღლებს, გამოცდილებას შეიძენს და ქომაგსაც ასიამოვნებს. ხოლო, მეორე მხრივ, უნდა გვეშინოდეს, რომ საქართველოს ჩემპიონი ისევე არ შერცხვეს, როგორც ამ ზაფხულს ყაზახებისგან...

რომელი სჯობს?! ვფიქრობთ, ეს კლუბებმა უნდა თქვან...

**კობა ინასარიძე**

# გიგიაძე ნავთობიდან მიდის

## გასამდება ქართველობა ზარიაში?

**ახტირსკის** „ნეფტიანიკი" და ვასილ გიგიაძე ერთმანეთს დაშორდებიან — წერს უკრაინული „სპორტ-ექსპრესი".

გაზეთის ცნობით, „ნეფტიანიკის" ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა ქართველი თავდამსხმელის თამაშით და საიჯარო ხელშეკრულებას აღარ გაუგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ გიგიაძე კრივოი როგის „კრივბასს" ეკუთვნის, თუმცა, როგორც „სპორტ-ექსპრესი" წერს, ქართველი ფორვარდის ამ კლუბში დაბრუნების შანსიც მცირეა.

როგორც შევიტყვეთ, გიგიაძე უფრო ლუგანსკის „ზარიაში" გადავა. ეს გუნდი ადრეც იყო მისით დაინტერესებული, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა.

„ზარიაში" ორი ქართველი თამაშობს — ლადო ბურდული და გიორგი ციმაკურიძე. გაასამებს თუ არა გიგიაძე ქართველობას, მალე გამოჩნდება. ჩვენ კი დავძინოთ, რომ უკრაინის წინა ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს ამ სეზონში გოლი ჯერ არ გაუტანია...

**კახა შალამბერიძე**




# ამისულაშვილი თავისუფალია!

## რუსებმა ქართველს ვერაფერი დაუმტკიცეს

**საქართველოს** ნაკრებისა და ნალჩიკის „სპარტაკის" მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი 4 ნოემბერს ვლადივოსტოკში დააკავეს. მას ახალგაზრდა ქალის, ვინმე ალისას გაუპატიურებაში სდებდნენ ბრალს.



მართალია, იგი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ გამოძიება არ შეწყვეტილა. ვლადივოსტოკში კი ამისულაშვილი იმიტომ იყო, რომ „სპარტაკი" ადგილობრივ „ლუჩ-ენერგიას" შეხვდა. გუნდი აეროპორტში მიდიოდა, როცა ქართველი ფეხბურთელი რუსმა სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

და აი, ახალი ამბავიც: გუშინ ფრუნზეს რაიონის საგამოძიებო ნაწილის პრესსამსახურის უფროსმა ავრორა რიმსკაიამ განაცხადა, რომ ალეკო ამისულაშვილის წინააღმდეგ საქმე აღარ აღიძვრება. ეს იმით არის განპირობებული, რომ ამისულაშვილის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, ქალს არ აღენიშნება ძალადობის კვალი და არც თვითმხილველია ვინმე.

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

## ბომბარდირები

### 1990 წელს დაბადებულები

**დასავლეთი ზონა**

ხუციშვილი ბექა (სპარტაკი) — 9
ალავიძე დავითი (მართვე) — 7
გოგოლაძე უჩა (ბორჯომი) — 7

**ცენტრალური ზონა**

სიხარულიძე ირაკლი (დინამო) — 11
ტივლიძე ზურაბი (მერანი) — 9
სარქისოვი სერგო (ამერი) — 8

**აღმოსავლეთი ზონა**

ძავთარაძე ილია (ნ. დინამოელი) — 11
არევაძე ჟაბა (ოლიმპი 2) — 10
ხუბუა დავითი (ლოკომოტივი) — 9

### 1991 წელს დაბადებულები

**დასავლეთი ზონა**

ოკრიბელაშვილი ზურაბი (ზესტაფონი) — 8
მამეიშვილი ლაშა (ბათუმი) — 7
ნასუაშვილი ნიკოლოზი (ბათუმი) — 6

**ცენტრალური ზონა**

მჭედლიძე ბექა (ოლიმპი) — 11
ტაბატაძე დავითი (თ. ს. აკადემია) — 10
მეუნარგია ოთარი (დინამო) — 5

**აღმოსავლეთი ზონა**

ნონიკაშვილი გურამი (ოლიმპი) — 12
ჩიხლაძე ნიკოლოზი (ნ. დინამოელი) — 10
გოგიძე გიორგი (ნ. დინამოელი) — 8

### 1992 წელს დაბადებულები

**დასავლეთი ზონა**

ბუზუნაძე ილია (დილა) — 9
სამუშია გურამი (მგლები) — 8
სირაძე აკაკი (დილა) — 7
ღარიბაშვილი გიორგი (დილა) — 7

**ცენტრალური ზონა**

ვაშაკიძე გიორგი (დინამო) — 9
ილურიძე გიორგი (მართვე) — 7
კალანდარიშვილი ნუკრი (35-ე სკოლა) — 7

**აღმოსავლეთი ზონა**

გაბაშვილი კოტე (ოლიმპი) — 15
გიორგობიანი გიორგი (ოლიმპი) — 8
კვიკვინია პავლე (ვიტ ჯორჯია) — 7



„არსენალის“ საამსეზონო განაცხადში ოდენ ხუთი ინგლისელია: ჯასტინ ჰოიტი, პოლ როჯერსი, კიერან გიბსი, მარკ რენდალი და თეო უოლკოტი

# ინგლისი ინგლისელთათვის!
## დატოვეთ ბავშვები დედებთან

**მოგეხსენებათ,** ინგლისში უცხოელ ფეხბურთელთა სიჭარბემ ბოლოხანს კამათის ახალი ტალღა აზვირთა. სახელდობრ, ყველაფერი ფიფას პრეზიდენტისგან, ზეპ ბლატერისგან წამოვიდა. პირველმა სწორედ ბლატერმა განაცხადა, რომ პრემიერლიგის ყოველ გუნდს უნდა მიეთითოს ადგილობრივ ფეხბურთელთა სავალდებულო რაოდენობა, რათა უცხოელთა დაგროვებამ ინგლისელი მოთამაშეები არ დაჩრდილოს. კამათში ჩართულ ჟურნალისტებს და სხვა მხარეებს უამრავი მაგალითი და არგუმენტი მოჰყავთ, თუმცა მაგალითებისთვის შორს წასვლა არც არის საჭირო: ორშაბათ საღამოს „არსენალმა“ „რიდინგს“ 3:1 მოუგო და პრემიერლიგაში მეათასე გოლი გაიტანა, მაგრამ ვაგლახ, ამ ჩინებული საქმის შემოქმედნი უცხოელები იყვნენ — „მეთოფეთა“ შორის მოედანზე ერთი ინგლისელიც არ ყოფილა.

ასეთი ვითარების წინააღმდეგ ხმა ამოიღო ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა, „ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა:

„ახლანდელი წესის შეცვლას მთელი გულითა და სულით ვუჭერ მხარს. რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, თორემ ჩვენს გუნდებში სულ მეტი და მეტი უცხოელი მოიყრის თავს, ბოლოს კი მხოლოდ ისინი დარჩებიან. მწამს, ლიმიტი არავის დააზარალებს და თან, ნაკრებსაც წაადგება. ეროვნული გუნდის წევრი ვარ და მინდა, ჩვენთან რაც შეიძლება მეტი უმაღლესი დონის ფეხბურთელი თამაშობდეს. ამას უცხოელებზე ლიმიტი აშკარად შეუწყობს ხელს. ვფიქრობ, პრემიერლიგაში სულ მეტი და მეტი უცხოელის გამოჩენა ნაკრებს სერიოზულად დააზარალებს, თუმცა, შეიძლება უკვე დააზარალა კიდეც. რა აზრი აქვს მსოფლიოში საუკეთესო ლიგის შექმნას თუ, ხანი რომ გავა, ხელში სუსტი ნაკრები შეგრჩება. დიახ, ძალიან საამაყოა ასეთი ძლიერი ჩემპიონატი რომ გვაქვს, მაგრამ ყველაფერზე საამაყო საუკეთესო ნაკრების ყოლაა, ეს კი შეუძლებელია, თუ ქვეყანამ უძლიერეს ფეხბურთელთა ახალი და ახალი თაობები არ აღზარდა“.

უცხოელთა სიჭარბის წინააღმდეგ გაილაშქრა „რიდინგის“ მწვრთნელმა სტივ კოპელმაც. მან თქვა:

„ჩვენ ინგლისის პრემიერლიგა გვქვია, მაგრამ გუნდების უმრავლესობას უცხოელი მოთამაშე ინგლისელზე მეტი ჰყავს. ჩვენ ვალდებულები ვართ, საკუთარი სახე და ინდივიდუალურობა დავიცვათ“.

ლაპარაკია ლიმიტის დაწესებაზე, მაგრამ ეს მთლად ადვილიც არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ევროკავშირის კანონების თანახმად, ამ გაერთიანების ქვეყნებში მცხოვრებ ფეხბურთელებს, ისევე როგორც სხვა პროფესიის ადამიანებს, თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერ ადგილას მუშაობა და ახლა, ინგლისურმა ფეხბურთმა თავისი დამოუკიდებელი კანონები რომ შემოიღოს, დიდი იურიდიული დავა ატყდება.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრი გერი სატკლიფი:

„კარგად მესმის მშრომელთა გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული სირთულეები, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჯერჯერობით ბალანსი დარღვეული გვაქვს. საჭიროა კარგად დავფიქრდეთ, რისი გაკეთება შეგვიძლია. არ არის გამორიცხული, დამოუკიდებელი შეხედულებებიც კი შევიმუშავოთ“.

და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ცვლილებებს მხარი უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმაც დაუჭირა. მან ბრძანა:

„დღეს არსებული მიდგომების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ და მწამს, კლუბების ინდივიდუალურობა უნდა შევინარჩუნოთ. სწორედ დღევანდელი პოლიტიკის ბრალია „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ მაღალი დონის ინგლისელი ფეხბურთელები რომ ველარ გამოძებნილა. სწორად გამიგეთ, ალექს ფერგიუსონს დიდ პატივს ვცემ, არსენ ვენგერი კი ჩემი ახლო მეგობარია, მაგრამ ძალიან არ მომწონს წესი, რომელიც მათ უცხო ქვეყნებიდან პატარა ბიჭების წაყვანის საშუალებას აძლევს. ეს იმ ქვეყნებსაც ცუდ დღეში აგდებს, რადგან მათ საკუთარი აღზრდილები ვერ შეუნარჩუნებიათ. ფულის გამო 14-15 წლის უნიჭიერესი ბავშვები თავიათი ქალაქებიდან და ოჯახებიდან მიდიან. ეს 20, 21, 22 წლის ასაკში რომ ხდებოდეს, ნორმალური იქნებოდა, ასე კი არანორმალურია. მერედა, ბევრი მათგანი ახალ გარემოს ვერ ეგუება და 16 წლისა შინ განადგურებული ბრუნდება“.

**ბაჩუნა ძიძია**

# იდეა: ლუქსემბურგი ევროს მასპინძლად

**ბენილუქსის** ქვეყნებმა — ბელგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა — ოთხშაბათს ფიფას ოფიციალურად მიმართეს, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე აქვთ პრეტენზია.

ყველა მატჩი ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართება. მუნდიალზე გარანტირებული ადგილებიც სწორედ ამ ორ ქვეყანას ექნება, ლუქსემბურგის მონაწილეობა კი იმით გამოიხატება, რომ ეს ჯუჯა სახელმწიფო ფიფას კონგრესს და სხვადასხვა შეკრებებს უმასპინძლებს.

18 მსოფლიო ჩემპიონატიდან მხოლოდ ერთი, 2007 წლის მუნდიალი ჩატარდა ორ ქვეყანაში, კერძოდ, კორეა-იაპონიაში. ამ ჩემპიონატმა რომ ვერ გაამართლა, ყველამ აღიარა და ამბობენ, ნაკლებ სავარაუდოა, ამის მერე ფიფამ ორ ქვეყანაში გამართოს მსოფლიოს ჩემპიონატიო.

მაგრამ არსებობს მეორე მოსაზრებაც. ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს სურს, პატარა ქვეყნები წაახალისოს და შესაძლოა, სამაგალითოდ 2018 წლის მუნდიალის ბენილუქსში ჩატარება გამოიყენოსო.

სად ჩატარდება 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, 2011 წელს გადაწყდება. აშკარა ფავორიტად ყველა ინგლისს მიიჩნევს, რომელმაც აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს უმასპინძლა მუნდიალს და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

„ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობა აქვთ და არანაირი პრობლემა არ შეგვექმნება. გთხოვთ, იმასაც მიაქციოთ ყურადღება, რომ, განაცხადი როგორც ერთ კანდიდატს ისე შეგვაქვს და არა როგორც ორ სხვადასხვა ქვეყანასა. შეგახსენებთ, რომ ჩვენ ჩინებულად ვუმასპინძლეთ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატს“ — თქვა ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ ივუ სპრენგერსმა.

**კოკი კანდელაკი**

## მათხოვარი ხარ, ბიჭო?!

**ჩეხი** ფორვარდი მილან ბაროში თანამემამულე ჟურნალისტებს ეჩხუბა, ჩემზე გამუდმებით ცუდ რაღაცეებს წერთ [illegible] ფორვარდს თურმე ის არ მოსწონებია, რომ ბაროშს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ ფული მოუთხოვია და ჟურნალისტებმაც ეს ამბავი გაუხეთქეს. მაგას, ჩვენთან ჩხუბს ურჩევნია, გოლების გატანა გააგრძელოსო, იქით შეუთვალეს მედიელებმა.

## ნაპუტი საქართველოში რომ ყოფილიყო...

**პარაგვაის** ეროვნულმა გუნდმა ეკვადორთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მატჩისთვის მზადება დროებით შეწყვიტა. დედაქალაქ ასუნსიონში მოვარდნილმა შტორმმა ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე მოედანი მთლიანად დატბორა, ღამით კი შუქიც ჩაქრა.

„ასეთ პირობებში ვარჯიში შეუძლებელია. საღამოს დენიც კი გაგვეთიშა, ფეხბურთელები დათრგუნვილები არიან“ — განაცხადა პარაგვაის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხუან ანხელ ნაპუტმა.

ისე, რომ იცოდეს ბატონმა ნაპუტმა, წლების წინ რა ვითარებაში უწევდა საქართველოს ნაკრებს მატჩებისთვის მზადება, ალბათ დენის გათიშვას გულთან ასე ძალიან ახლოს არ მიიტანდა.

## ბებერ ქალბატონზე შეყვარებული

**ურუგვაის** ნაკრებისა და სტამბოლის „ფენერბაჩეს“ მარჯვენა მცველი დიეგო ლუგანო იტალიურ „იუვენტუსს“ სიყვარულში გამოუტყდა. „ვიცი, ჩემით ისეთი კლუბები არიან დაინტერესებულნი, როგორებიც „მილანი“ და მადრიდის „რეალი“ არიან, მაგრამ მე „ბებერი ქალბატონი“ მიყვარს. „იუვე“ ჩემი ოცნების გუნდია და თუ ოდესმე იქ მიმიწვიეს, მისი გულისთვის ყველაფერს მივატოვებ“ — ამბობს 27 წლის ურუგვაელი.

## ტოტი დაკრძალვაზე

**იტალიელმა** ფრანჩესკო ტოტიმ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშს, სავარაუდოდ, დღეს განაახლებს. „რომას“ კაპიტანს და თილისმას იმედი აქვს, რომ მოედანს უახლოეს ტურში დაუბრუნდება. 2-3 დღეში დაიწყებს ვარჯიშს კიდევ ერთი დაშავებული რომაელი როდრიგო ტადეიც. მან გუშინ კლუბის ფიზიოთერაპევტთან გაიარა შემოწმება. ამასობაში ტოტი, „რომას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი, სპორტული დირექტორი ბრუნო კონტი და წარმომადგენელი ანტონიო ტემპეზტილი „ლაციოს“ მოკლული ფანის, გაბრიელე სანდრის დაკრძალვას დაესწრო, გუშინ კი ტრიგორიაში, „რომას“ ბაზაზე ვარჯიში სანდრის პატივის მისაგებად წუთიერი დუმილით დაიწყო.

## 100 პროცენტით დარწმუნებული ოლივეირა

**ბრაზილიელმა** რიკარდო ოლივეირამ სეზონის ბოლოს „მილანში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა. გეხსომებათ, „როსონერიმ“ ოლივეირა გასულ ზაფხულს გაანათხოვრა „სარაგოსაში“. „მილანში“ გატარებული ერთი სეზონი, ფაქტობრივად, ადაპტაციის პერიოდმა წაიღო და სწორედ ამიტომ ვერ გამოვავლინე სრულად ჩემი შესაძლებლობები. ვფიქრობ, „სარაგოსაში“ ჩვეულად ავთამაშდი, სასურველ ფორმაშიც შევედი და ახლავეც რომ დამაბრუნონ „მილანში“, რონალდოს, ალბერტო ჯილარდინოსა და ფილიპო ინძაგის სერიოზულ კონკურენციას გავუწევ. ამაში 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული“ — უთხრა „დონ ბალონს“ 27 წლის თავდამსხმელმა.

## ღვთის მადლით

**„იუვენტუსის“** მცველი ნიკოლა ლეგროტალიე, უფალს ემადლიერება და ამბობს, ბოლო ხანს კარგად რომ ავთამაშდი, ამაში სწორედ იესო ქრისტე, ღმერთისადმი რწმენა და ლოცვა დამეხმარაო: „როცა ჟორჟე ანდრადემ მიიღო ტრავმა, კლაუდიო რანიერის დაცვის გადაწყობა მოუხდა. მწვრთნელმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა და, ვფიქრობ, ჩემი და ჯორჯო კიელინის დუეტიც შედგა. ყოველთვის ვაანალიზებ ჩემს შეცდომებს და საკუთარ თავზეც ძალიან ბევრს ვმუშაობ. როცა „სიენაში“ ვიყავი განათხოვრებული, ბევრი რამ ვისწავლე თანაგუნდელ თომას დე გუზმანისგან. იგი ძალიან ბევრს მელაპარაკებოდა იესო ქრისტეზე, სასწაულებზე და ლოცვაზე. მითხრა, რომ უფლისადმი რწმენისა და სიყვარულის გარეშე, ეს ცხოვრება წარმოუდგენელია“.

**გიორგი ვაჩნაძე**


### ყურადღება!

შ.პ.ს. „ბ და ბ“ აცხადებს სისხლძარღვთა და სახსრების ულტრაბგერითი გამოკვლევის სპეციალისტის შერჩევას, მაღალი სახელფასო ანაზღაურებით. (ასაკი 28-45წ).
სპეციალისტს უნდა გააჩნდეს ლიცენზია და შესაბამისი სერთიფიკატი.
სასურველია მუშაობის ორი წლის გამოცდილება, საბაზისო ინგლისურის ცოდნა და სარეკომენდაციო წერილი.
ჩატარდება წინასწარი გასაუბრება და დაინიშნება ტესტირების დღე.
გასაუბრება ჩატარდება — ქ. თბილისის პირველ საავადმყოფოში (წინანდლის ქ.№9).
საკონტაქტო ტელეფონებია: 899 50-23-43; 79-39-66 8 საათის შემდეგ.




# 637 08 34 იკითხეთ ვიტალი

**როგორც იცით,** რუსეთის ჩემპიონი წელს სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ გახდა, ხოლო მთავარ, ბოლო ტურებში კი ერთადერთ კონკურენტად მოსკოვის „სპარტაკი“ ჰყავდა.

ჰოდა, „სპარტაკის“ გულშემატკივრები „ზენიტის“ გაჩემპიონებას გვარიანი ეჭვით უყურებენ და იმ მოსაზრებას ემხრობიან, რომელიც გვამცნობს: ამ ცხოვრებაში ყველა და ყველაფერი იყიდება. მათ შორის, სინდისიც და ჩემპიონის ტიტულიც.

და რაკი ტიტული უკვე პეტერბურგშია, აღარაფერი შეიცვლება და ჩივილს აზრი აღარ აქვს, „სპარტაკის“ ფანებს კბენის მეტი რა დარჩენიათ. ისინი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოს კბენენ. ვისაც პირველობა გსურთ, აგერ, მუტკოს ტელეფონი და დაურეკეთ, ოღონდ ძვირს გამოგართმევთო.

მართლა იყიდა თუ არა „ზენიტმა“ ჩემპიონობა, აბა, რა ვიცით, ის კი გვგონია, რომ ბატონი მუტკო ტელეფონის ნომერს სასწრაფოდ გამოცვლიდა.

**ქოტე ქექელია**

# ლან და ლუნ სადაშოში

**უკვე** წელიწადი გავიდა მას მერე, რაც რომან აბრამოვიჩის სატრფომ დაშა ჟუკოვამ, რომლის გულისთვისაც მილიარდერმა ცოლი ირინა და ოთხი შვილი მიატოვა, ჩვენში უცნობი ლონდონელი მილიონერის ქალიშვილ კრისტინ ტანგთან ერთად ჯინსების საკუთარი მარკა Kova&T დააარსა. ამის შემდეგ დაშამ გახსნა ბუტიკები პარიზში, ლონდონში, ლოს ანჯელესსა და... მოსკოვში, რომლის პრეზენტაციის ამბავსაც ორიოდ სიტყვით აქ მოგახსენებთ.



პრეზენტაცია ასე ჩატარდა: რომან არკადიევიჩის ფულით მორთულ და „დავარცხნილ“ ბუტიკს პატივცემული საზოგადოება თავიდან ღიმილით, გამოთრობის შემდეგ კი ნგრევით შეეგება. პატივცემული მთვრალები ლეწავდნენ ყველაფერს რისი მოხელთებაც შეიძლებოდა. იმტვრეოდა ლონდონიდან საგანგებოდ ჩამოტანილი შუშის დახვეწილი ნაკეთობები, სკულპტურები და სხვა.

„ზოგი რამ საგანგებოდ ჩემთვის იყო შეკვეთილი“ — თქვა მოგვიანებით დაშამ, რომელსაც ეტყობოდა, ისტერიკისგან თავს ძლივს იკავებდა.

და რა ქნა თავად აბრამოვიჩმა? ის პრეზენტაციაზე სულ არ მისულა, სამაგიეროდ მიბრძანდა წინასწარ შეკვეთილ სუფრაზე ცუმის გვერდით მდებარე რესტორანში, რომელიც მთლიანად დახურული ჰქონდა. იქ, რომან არკადის ძე თავიდან, თურმე, რაღაც დოკუმენტებს ჩასჩიჩინებდა, შემდეგ კი ღამის კლუბში ჩასულა და აქ დაპატიჟებული ვიწრო წრისთვის სასმელის დაძალება დაუწყია. სტუმრებს შორის ბორის ელცინი-უმცროსი ანუ ბორის-შვილიშვილიც ყოფილა.

# ვილაცამ გააფრინა

## რეალის პრეზიდენტს ცაში არ უმართლებს



**რამონ კალდერონს** ოკეანისგაღმა მოგზაურობებისას რაღაც არ უმართლებს. მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი რამდენიმე ხნის წინ ნიუ იორკის პოლიციამ კენედის აეროპორტში დააკავა — კალდერონი ძებნილი ბანდიტი ეგონათ და სანამ სიტუაცია გაირკვეოდა, ქალაქის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაშიც აყურყუტეს.

გუშინწინ კი სენიორ კალდერონს მექსიკური ვოიაჟი ჩხუბისთავმა ესპანელმა, მომღერალმა მელენდიმ ჩაუშალა. „რეალის“ თავკაცი მექსიკაში იქაურ პრეზიდენტთან შესახვედრად მიდიოდა (სხვათა შორის, კაქტუსისქვეყნელთა მთავრობის მეთაურიც გვარად კალდერონია) — ამასწინანდელი წყალდიდობით დაზარალებულთათვის დახმარების გაწევას აპირებდა.

ყველაფერი კარგად იქამდე იყო, ვიდრე ხსენებული მელენდი თვითმფრინავის ბიზნესკლასის სალონში აყალმაყალს ატეხდა. მერე მფრინავებსაც უშვერად აგინა და გავეშებული მომღერლის შემხედვარე პერსონალმაც გადაწყვიტა, უკან, მადრიდში, ბარახას აეროპორტში დაბრუნებულიყო.

გჭარიანად მთვრალი სენიორ მელენდი პოლიციაში მიაბრძანეს და ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ გაათავისუფლეს. გაწბილებული რამონ კალდერონი კი სახლში დაბრუნდა. რეისი ჩაიშალა. არადა, მომღერალი ოკეანის თავზე სამსაათიანი ფრენის შემდეგ აბობოქრდა...

**ლადო ხომერიკი**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ქალის სახელს ვერ გათქმევინებთ?

მოუგებს რუსეთი ისრაელში ისრაელს თუ ვერა?

რაო, რა მიპასუხეთ? კი?

დარწმუნებული ხართ?

იქნებ...

ნუ, კარგი, კარგი, ეგრე იყოს. ესე იგი, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ რუსეთი ისრაელს ისრაელში მოუგებს და ინგლისი ევრო 2008-ზე ვერ გავა, ხომ?

და, ლუდის სახელსაც ვერ გათქმევინებთ?

მიპასუხეთ, გეთაყვა: ემაგ თქვენმა ვერსიამ, რუსეთის გამარჯვებამ და ინგლისის ევროპის გარეშე დატოვებამ ფეხბურთს აწყინა თუ არგო?

რაო, აწყინაო?

ჰოოო!..

მაგრამ, ვინ უშლიდა, ეთამაშა იმ ჩვენს ინგლისს უკეთესად და თავს ასეთ დღეში არ ჩაიგდებდა. ესაო, ისაო, პრემიერლიგაო... თუმცა, მართალი ბრძანდებით, პრემიერლიგა რუსეთსაც აქვს.

ერთი სიტყვით, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო — ბექჰემზე მოგახსენებთ. „დეფ ლეპარდის“ და „ლედ ზეპელინის“ ბარაბანშჩიკებთან ფეხბურთის თამაშით გინდა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა?

ცნობისათვის: ბოლო ფრაზაში ჩადებულია შავი იუმორი. „ლედ ზეპელინის“ მედოლე 1980 წელს ერთი დღის განმავლობაში უზომო რაოდენობით არყის დალევისგან გარდაიცვალა.

არაყი... რუსეთი... არა, აშკარად რაღაცაშია საქმე. ყველაფერს იქით მივყავართ...

თუმცა, საით?

აი, როგორ არის ინგლისი, რუსეთი, ისრაელი და ფეხბურთი ერთმანეთთან დაკავშირებული: რომან აბრამოვიჩი რუსეთში გუბერნატორი, ლონდონში კი „ჩელსის“ მაპატრონეა. ამბობენ, რომ ის რუსეთის ნაკრებსაც სპონსორობსო, თუმცა ასე რომც არ იყოს, როგორც რუსი ჩინოვნიკი და პატრიოტი ვალდებულია მხარი თავისი ქვეყნის ნაკრებს ანუ ნატოს წევრი ინგლისის ევრო 2008-ის მიღმა დატოვებას დაუჭიროს. მერედა, როგორი მხარი აქვს რომან აბრამოვიჩს... ოჰოჰო! აი, მხარიც მაგას ჰქვია.

კი მაგრამ, „ჩელსი“? ინგლისში ცხოვრება და კარგი რეპუტაცია? როგორც ქართველები იტყოდნენ ამბავი, გაგება და მეობა?

ჩვენი რჩევაა ჭორებს არ აყვეთ. რას არ იტყვის ბოროტი ხალხი. ყველაფერი კი არ უნდა დავიჯეროთ. ვნახოთ, როგორ დამთავრდება ისრაელი — რუსეთი და მერე ვილაპარაკოთ. განა გამორიცხულია ისრაელმა რუსეთს ფრე მოუხერხოს და ევრო 2008-ზე ინგლისი წავიდეს?

ერთი სიტყვით, დიდი გაუგებრობაა. როგორც ქართველები იტყოდნენ, მოდი და გაიგე, ვისი ბურთი ვის კარშია.

ან რატომ თქვა ისრაელის ნაკრების მეკარეთა რუსმა მწვრთნელმა ალექსანდრ უვაროვმა ყველაფერი მოედანზე გადაწყდება და არა სხვაგანო?

რა სხვაგანო, რის სხვაგანო? ეს სხვაგან რაღაა? ჩვენთვის, ქართველებისთვის, ასეთი ლაპარაკი ნამდვილად გაუგებარია. ნუ, ვერ ვხვდებით და მოგვკალით, ეხლა.

და ამაში თქვენც ხომ გვეთანხმებით ძვირფასო მკითხველო? ამ უცნაური ნათქვამისა გაიგეთ რამე?

ვერა?

**ბაბუნა ქედია**

P.S. აძინ ნოლ ჩემს სასარგებლოდ: ქალის სახელი ხომ გათქმევინეთ.



რომან აბრამოვიჩი ორ კაპიკს ბანქოთიც შოულობს

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# მილანმა არსენალი დაიწუნა
## ანჩელოტიმ, რონალდინიო რას მიქვიაო



**ინგლისის** ჩემპიონატის ლიდერი ლონდონის „არსენალი“ მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით ბრწყინვალედ გამოიყურება. „მეთოფეებს“ ჯერჯერობით არცერთ ტურნირზე არ წაუგიათ და მართლაც საოცარ ფეხბურთს თამაშობენ.

არსენ ვენგერის შეგირდებს ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებადაც მიიჩნევენ, მაგრამ ამ აზრს არ იზიარებს კარლო ანჩელოტი, რომლის „მილანიც“ ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ტრიუმფატორია.

„ლონდონელები მართლაც კარგად თამაშობენ და ბრწყინვალე შედეგებს აღწევენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი გაზაფხულზე წყდება. აუცილებლად უნდა იცოდე, მატჩის მსვლელობისას როდის და როგორ მოახდინო ზეწოლა მეტოქეზე და ასე შემდეგ. მეეჭვება, ახალგაზრდა „მეთოფეებმა“ ეს იცოდნენ და საწინააღმდეგო იარაღი ჰქონდეთ. მართალია, ახლა გარკვეული პრობლემები გვაქვს, მაგრამ ევროპაში კარგად ვთამაშობთ და ერთ-ერთი მთავარი ფავორიტები ვართ. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის მოგების ჩვენზე ცოტა უკეთესი შანსი მხოლოდ „ბარსელონას“ აქვს“ — თქვა ანჩელოტიმ.

„როსონერის“ თავკაცს რონალდოზეც ჰკითხეს, მან კი „კიჭას“ გარდა ალეშანდრო პატოზეც ილაპარაკა, რომელსაც „როსონერიში“ თამაშის უფლება იანვრიდან ექნება.

კარლო ანჩელოტი: „როგორც იცით, რონალდო ახლახან მომჯობინდა და ამით ძალიან გახარებულნი ვართ. იგი ბევრს მუშაობს და მოედანს მალე დაუბრუნდება. რონი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ასევე მოუთმენლად ველით პატოს ათამაშებას, ვისაც რონალდინიოზე ნიჭიერ მოთამაშედ მივიჩნევ.“

**გიორგი ქაქაბაძე**



# შეშინებულ კაკას ბავშვებში თამაში უნდა

**კაკამ** „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა. „მილანის“ ბრაზილიელი ლიდერი იტალიაში ფეხბურთის გარშემო ატეხილი აურზაურით შეშფოთებულია და ამბობს, თუ ასე გაგრძელდა, სხვა ქვეყანაში წავალ სათამაშოდო.

ბუნებრივია, ამ სიტყვების მერე ბრაზილიელს მყისვე „რეალი“ უხსენეს, მაგრამ კაკამ მოკლედ მოჭრა, მადრიდული კლუბი ჩემთვის დახურული თემააო.

„მილანთან“ ჩემს კონტრაქტს ვადა 2011 წელს გასდის, მაგრამ თუ კლუბი ისურვებს, მზად ვარ, იგი ახლავე გავახანგრძლივო. „მილანში“ დიდი ხნით ვარ მოსული, ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება, თუმცა თუ იტალიაში ვითარება არ გამოსწორდება, წასვლაზეც დავფიქრდები — ვერ ვითამაშებ ფეხბურთს, თუ ამისგან სიამოვნებას არ მივიღებ. დღეს შექმნილ ვითარებაში კი ეს შეუძლებელია. მინდა, საქმის მშვიდად კეთება შემეძლოს და ჩემი ოჯახის წევრები დაცულები იყვნენ. ისინი ყოველთვის ესწრებიან „მილანის“ თამაშებს და მათი უსაფრთხოება ეჭვქვეშ არ უნდა იდგეს“ — აღნიშნა კაკამ.

კაკა წლევანდელი „ოქროს ბურთის“ მოგების მთავარი ფავორიტია და მას ამაზეც ჰკითხეს.

„თუ ეს მართლაც მოხდა, პირველ რიგში ღმერთს გადავუხდი დიდ მადლობას, მერე კი ყველას, ვინც გვერდზე მიდგას. თუმცა მთავარია, წარმატებებს „მილანთან“ ერთად მივაღწიო. არ მაშინებს, რომ სერია A-ში „ინტერს“ უკვე საგრძნობლად ჩამოვრჩებით. ჯერ კიდევ ბევრი მატჩია სათამაშო, მათ შორის ორი დერბი. სკუდეტოს მოგების შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. ჩემპიონთა ლიგაში კი „მილანი“ — „ბარსელონას“ ფინალზე ვოცნებობ. ოლიმპიადის მოგებაც მინდა, ეს ტიტული ბრაზილიას არასოდეს მოუპოვებია. პრობლემა ჩემი ასაკია, მაგრამ იმედია, კარლოს დუნგა 21 წელს გადაცილებულ ერთ-ერთ ფეხბურთელად მეც ამირჩევს. 2008 წელს ჩინეთში ბრაზილიის ნაკრების ღირსების დაცვა მართლა ძალიან მსურს“ — თქვა კაკამ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სამი ვარიანტი იტალიისთვის



**ბევრი** რამ ითქვა, თუ რა აურზაური მოჰყვა იტალიაში პოლიციელის ნასროლი ტყვიით რომის „ლაციოს“ ქომაგის გაბრიელე სანდრის სიკვდილს. ულტრასებმა ქალაქები აიკლეს, მაგრამ რეალურად არავინ დასჯილა.

სულ მცირე, ორასმა ქომაგმა კვირას რომი თავდაყირა დააყენა, რასაც მხოლოდ ორი მათგანის, 21 წლის კლაუდიო გულიოტისა და 27 წლის სავერიო კანდამანოს დაპატიმრება მოყვა — ტერორიზმში გადასული ქმედებების ბრალდებით.

„არ გვესმის, ტერორიზმი რა შუაშია? მომხდარი ინციდენტები პოლიტიკას და რამენაირ იდეოლოგიას არ უკავშირდება. ასე რომ, ეს ბრალდებები თითიდანაა გამოწოვილი“ — თქვა ადვოკატმა ეუჯენიო სალვატორე დადონემ.

მილანში მხოლოდ რვა ულტრასი დააპატიმრეს და ყველა გაათავისუფლეს კიდეც. ერთ-ერთს სტადიონზე შესვლა აეკრძალა.

ადვოკატ დადონეს ამ შემთხვევაშიც აქვს თავისი არგუმენტი: „მილანში ხალხს უმიზეზოდ აპატიმრებდნენ და არა იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დააშავეს მათ. ეს დაუშვებელია“.

ფაქტი კი ის არის, რომ თუ იტალიის მთავრობა საქმეში სერიოზულად არ ჩაერთო, წესები არ გაამკაცრა და ულტრასებს არეულობის მოწყობის საშუალება არ მოუსპო, აპენინებზე ქაოტური ვითარება კიდევ დიდხანს გასტანს.

გულისტკივილს ვერ მალავს „ატალანტას“ პრეზიდენტი ივან რუჯერი: „მილანთან“ მატჩის ჩაშლაში დამნაშავეების მიმართ უმკაცრეს ზომებს გავატარებთ. განსაკუთრებულს არაფერს ველოდი, მაგრამ მეგონა, სერია A-ს კლუბების უფროსობა და მთლიანად საზოგადოება გარკვეულ სოლიდარობას მაინც გამოგვიცხადებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ არსებულ ვითარებას ვეგუებით. არადა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თანახმა ვარ, ვითარების გამოსწორებამდე ბერგამოში საფეხბურთო მატჩების ჩატარება აიკრძალოს. თუმცა სხვების ენთუზიაზმს ვერ შევატყვე.“

იტალიური ფეხბურთის მამები და პოლიტიკოსები კი შეკრებებს მართავენ და გამოსავალს ეძებენ, თუმცა კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე საქმე ჯერ არ მისულა.

| 17201 | ეინდჰოვენი-იგლზი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | როზენდალი-ემენი | 1.85 | 1.95 |
| 17203 | ოსი-ვალვაიკი | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ომნივორლდი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17587 | ავსტრია-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.85 | 1.95 |
| 17589 | ავსტრალია-ნიგერია(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17599 | მონპელიე-სედანი | 1.85 | 1.95 |

# მარკოიშვილმა მიზანი გაისწორა
## რიგელებმა კიევი ვერ აიღეს


მანუჩარ მარკოიშვილმა რიგელებს არაფერი დაუთმო

**წინა** კვირაში მანუჩარ მარკოიშვილს რომ ველაპარაკეთ, გვითხრა, დაცვაში არა მიშავს, შეტევაში მაქვს თამაში გამოსასწორებელიო. მას შემდეგ „მანუმ" სამი მატჩი ითამაშა „ბკ კიევის" შემადგენლობაში. ულებ-ის თასზე იტალიურ „ბენეტონს" 6 ქულა ჩაუგდო, მერე უკრაინის ჩემპიონატში „პულსართან " 18 ქულით იბომბარდირა და გუშინწინ ისევ ულებ-ის თასზე „ასკ რიგას" 12 ჩაუკალათა. დასკვნის გამოტანა იოლად შეიძლება: მარკოიშვილმა დაცვაში მარჯვე გარჯას შეტევაში ყოჩაღობაც მიაყოლა და უკრაინის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში მყარად მოიკიდა ფეხი.

მარკოიშვილმა რიგელებთან 29 წუთი ითამაშა და, როგორც ვთქვით, 12 ქულა მოაგროვა. ის შესაშური შედეგიანობით უტევდა ასკ-ს კალათს. ორიდან ორი ორქულიანი ჩააგდო, საჯარიმოს ხაზიდანაც ზუსტად ამ შედეგით ისროლა და 3 შორი ტყორცნიდან 2 გაარტყა მიზანში . მანუს ასევე ჰქონდა 3 მოხსნა და 2 პასი — ის ყველა მონაცემის გამაერთიანებელი კოეფიციანტით თავისიანთაგან მხოლოდ არტურ დროზდოვს ჩამორჩა, ვის ანგარიშზეც 14 ქულა, 5 მოხსნა და 2 ჩაჭრა იყო.

კიეველებს თავიდან გვარიანად გაუჭირდათ. ამერიკელი ლეგიონერების — დუეინ ბროილისა და აარონ ბრამლეტის რიგელებმა 13-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ მაინც მარკოიშვილის გუნდმა იძალა.

მესამე მეოთხედში კიეველებმა 18-ქულიანი გაქცევა მოუწყვეს სტუმრებს და 59:42 გალიდერდნენ. ამის შემდეგ ლატვიური გუნდი სათოფეზეც ველარ გაეკარა მასპინძლებს და საბოლოოდ „ბკ კიევმა" 79:67 იმარჯვა.

„ჩვენ თავიდან პრობლემები შეგვექმნა ფარქვეშ. ბურთი ვერ მოვხსენით, რადგან რიგელი მსროლელები კალათს თითქმის არ აცილებდნენ — თქვა ნამატჩევს კიეველთა თავკაცმა ტომო მაჰორიჩმა — ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ჩვენმა უკანახაზელებმა თამაში გამოასწორეს, მეტოქეს გასაქანს აღარ აძლევდნენ და მესამე მეოთხედში ყველაფერი საჩვენოდ გადაწყდა. რაც მთავარია, მიზანს მივაღწიეთ და ამ გამარჯვებით ჯგუფში გავლიდერდით".

რიგელთა თავკაცმა რამუნას ბუტაუტასმა წაგება გადატვირთულ კალენდარს დააბრალა: „ჩვენ სამ ფრონტზე ერთდროულად გვიწევს ბრძოლა: ლატვიის ჩემპიონატში, ბალტიის ლიგასა და ულებ-ის თასზე. რა თქმა უნდა, ძნელია, ყველგან ბოლომდე დაიხარჯო და მესამე მეოთხედის ჩავარდნასაც სწორედ ამას დავაბრალებ — გადაღლილები ვიყავით".

**ირაკლი პერტაია**

## ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მეორე ტური. 13-14 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი) 95:82 ბოსნა (ბოსნია)
ალბა (გერმანია) 79:80 შაულიაი (ლიტვა)
გილფორდი (დიდი ბრიტანეთი) 61:75 ხუვენტუდი (ესპანეთი)
ხუვენტუდი 4, ტელეკომი 4, ბოსნა 3, ალბა 3, შაულიაი 2, გილფორდი 2

**B ჯგუფი**

ბეშიქთაში (თურქეთი) 79:60 კიოლნი (გერმანია)
შალონი (საფრანგეთი) 96:79 აძზ (სერბეთი)
ოვარენშე (პორტუგალია) 68:92 ვენტსპილსი (ლატვია)
ბეშიქთაში 4, ვენტსპილსი 3, შალონი 3, აძზ 3, კიოლნი 3, ოვარენშე 2

**C ჯგუფი**

პანზევასტი (პოლანდია) 60:93 გალათასარაი (თურქეთი)
შარლერუა (ბელგია) 64:58 ასოფტი (რუმინეთი)
ხირონა (ესპანეთი) 87:61 ჰემოფარმი (სერბეთი)
გალათასარაი 4, ხირონა 3, შარლერუა 3, ასოფტი 3, ჰემოფარმი 3, პანზევასტი 2

**D ჯგუფი**

აზოვმაში (უკრაინა) 91:93 ხიმკი (რუსეთი)
სკაილაინერსი (გერმანია) 65:67 ანვილი (პოლონეთი)
ნანსი (საფრანგეთი) 81:86 პამესა (ესპანეთი)
პამესა 4, ხიმკი 4, აზორმაში 3, ანვილი 3, ნანსი 2, სკაილაინერსი 2

**E ჯგუფი**

ტრიუმფი (რუსეთი) 84:68 ელიონი (ისრაელი)
სვანსი (შვედეთი) 85:71 ფრაიბურგი (გერმანია)
ანტვერპენი (ბელგია) 76:79 ბუდუჩნოსტი (ჩერნიგორია)
ტრიუმფი 4, სვანსი 4, ბუდუჩნოსტი 3, ფრაიბურგი 3, ანტვერპენი 2, ელიონი 2

**F ჯგუფი**

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 79:69 პანელინიოსი (საბერძნეთი)
ოსტენდე (ბელგია) 89:83 დინამო (რუსეთი)
ბოლონია (იტალია) 82:71 ნიმბრუკი (ავსტრია)
ცრვენა ზვეზდა 4, დინამო 3, ოსტენდე 3, პანელინიოსი 3, ბოლონია 3, ნიმბრუკი 2

**G ჯგუფი**

პანიონიოსი (საბერძნეთი) 72:61 ვროცლავი (პოლონეთი)
ასველი (საფრანგეთი) 91:95 კალევი (ესტონეთი)
კანარია (ესპანეთი) 89:73 ლუდვიგსბურგი (გერმანია)
კალევი 4, ასველი 3, კანარია 3, პანიონიოსი 3, ვროცლავი 3, ლუდვიგსბურგი 2

**H ჯგუფი**

აკადემიკი (ბულგარეთი) 109:65 არტლენდი (გერმანია)
პო ორტეზი (საფრანგეთი) 89:84 ბენეტონი (იტალია)
ბკ კიევი (უკრაინა) 79:67 ასკ რიგა (ლატვია)
ბკ კიევი: მარკოიშვილი (29 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა)
ბკ კიევი 4, აკადემიკი 3, ასკ რიგა 3, პო ორტეზი 3, არტლენდი 3, ბენეტონი 2

**I ჯგუფი**

ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია) 101:94 ჰაპოელი (ისრაელი)
სტრასბური (საფრანგეთი) 78:66 უნიკსი (რუსეთი)
ზადარი (ხორვატია) 65:74 ტუროვი (პოლონეთი)
სტრასბური 3, ზადარი 3, ტუროვი 3, ჰაპოელი 3, ეიფელ თაუერსი 3, უნიკსი 3

# ავიამშენი სირიაში ვერ გაფრინდა
## ლევან მოსეშვილს ფარი აფიქრებს

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა „ავიამშენმა" ეს სეზონი უცუდესად დაიწყო. სამი მატჩიდან ორ ისეთ გუნდთან წააგო, ვისთანაც ფეხის დაცდენას ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა. ლევან მოსეშვილის შეგირდები პირველივე ტურში „მაკაბისთან" შერცხვნენ, ხოლო მერე თსუსთანაც ვერ დაემართათ კარგი საქმე. არადა, „ავიამშენს" არავისზე ნაკლები შემადგენლობა არ ჰყავს და უნდა ვიფიქროთ, რომ გუნდს, ამ ეტაპზე, უბრალოდ შეთამაშება აკლია.

ასე იყო წინა სეზონშიც, როცა „ავიატორებმა" უფერულად დაიწყეს და მერე აკრიფეს სისწრაფე. ლევან მოსეშვილის გუნდს შეთამაშების პროცესის დასაჩქარებლად ჩინებული შანსი ჰქონდა — ნოემბრის ბოლოს სირიულ ტურნირზე აპირებდა ძალების მოსინჯვას, თითქოს გადაწყვეტილიც იყო წასვლა, მაგრამ საქმე ბოლო მომენტში ჩაიშალა.

— ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, სირიაში მივემგზავრებოდით, მაგრამ სულ ბოლო მომენტში შემატყობინეს, რომ ტურნირი ჩაიშალა — გვითხრა **ლევან მოსეშვილმა**, გუშინ რომ დავუკავშირდით — არადა, სერიოზულად ვემზადებოდით. თსუ-ელი რიჩარდ მათიაშვილიც შევიპირეთ, რათა ამ ტურნირზე დაგვხმარებოდა, მაგრამ...

**— ეგებ სხვა ვარიანტი გამოჩნდეს...**

— ეგ უკვე არ ვიცი. სირიაში ჩემი თანაშემწის, ვაჟა მხეიძის შვილი მუშაობს და მისი დახმარებით ვაპირებდით გამგზავრებას და ახლა თუ სხვა ვარიანტს მოგვინახავს, ჯერჯერობით არ ვიცი. ისე, სირიულ შეჯიბრში წარმატებით რომ გვეთამაშა, მერე დუბაიში, კომერციულ ტურნირზე მიგვიწვევდნენ — ასეთი პირობით მივდიოდით.

**— რამდენად აუცილებელი იყო თქვენთვის ამ ტურნირში თამაში?**

— უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ახლა ძალიან გვჭირდება სათამაშო პრაქტიკა. ხომ ხედავთ, როგორ გუნდებთან წავაგეთ საქართველოს ჩემპიონატში. ეს ნიშნავს, რომ გუნდს ერთად თამაშის გამოცდილება აკლია, თორემ ისე, ამ შემადგენლობას დასაწუნი არაფერი აქვს.

**— რას მიიჩნევთ ყველაზე უფრო დიდ მინუსად, რისი გამოსწორება გმართებთ?**



— უკანა ხაზს არა უშავს, აი, მეფარეები კი ძალიან მოიკოჭლებენ. პლასიდე როდუმტამ, დავით ბარბაქაძემ, ვახტანგ მინაშვილმა და თორნიკე ნინიაშვილმა უნდა მოუმატონ, თორემ ასეთი პასიურობით წინ ვერ წავალთ. შარშან ზვიად ბაბიაშვილი დიდ დახმარებას გვიწევდა, სანამ სხვა მეფარეები თამაშის ეშხში შევიდოდნენ, მაგრამ ახლა ის სხვა გუნდშია. ვნახოთ, რა იქნება — იმედი მაქვს, მალე დავაღწევთ კრიზისს თავს და ჩვეულად ავთამაშდებით.

**ირაკლი პერტაია**

# სუპერლიგა ვერის ბაღში დაბრუნდა
## ყველა დამნაშავეა: მსაჯებიც, მწვრთნელებიც...

**საგანგებო** ვითარების გაუქმებასთან ერთად საკალათბურთო ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენებაც შეწყდა. კვირას სუპერლიგის მორიგი, მეხუთე ტური გაიმართება, ხოლო გაცდენილ მესამე ტურს გუნდები მოგვიანებით ჩაითამაშებენ.

ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით განახლდება მე-17 ეროვნული ჩემპიონატი. თამაშები სპორტის სასახლის ნაცვლად ვერის ბაღში გაიმართება. ეს დროებითი მოვლენაა, თუ სუპერლიგა ვერის ბაღში დაიდებს ბინას, ამას კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები დღეს, მეხუთე ტურის ცენტრალური შეხვედრის, „აივიამშენი" — „ენერჯი-ინვესტის" წინასამატჩო პრესკონფერენციაზე იტყვიან.

ამასობაში ფედერაციის დისციპლინარებმა მესამე ტურის კინკლაობით დასრულებული მატჩის დამნაშავენი დააჯარიმეს. როგორც გახსოვთ, თსუ-სა და „ავიამშენის" შეხვედრა მსაჯზე გაწევითა და გინებით დასრულდა. „ავიატორები" არბიტრ დავით არეშიძეზე იწევდნენ, მიკერძოებული იყაოო.

როგორც კალათბურთის ფედერაციის პრესსამსაუხრის უფროსმა ზურაბ თალაკვაძემ გვაცნობა, სადისციპლინარო კომიტეტმა ეს ვერდიქტი გამოიტანა:

— თსუ-სა და „ავიამშენის" მატჩის ბოლოს მომხდარი ინციდენტის გამო „ავიამშენის" ასისტენტი მწვრთნელი ვაჟა მხეიძე და გუნდის უფროსი ლევან ჩალისური 200-200 დოლარითა და 5-5 მატჩის გამოტოვებით დაჯარიმდნენ.

— მატჩის ბოლოს დაშვებული შეცდომების გამო, არბიტრებს — დავით არეშიძესა და მაკა კუპატაძეს 2-2 მატჩით აეკრძალათ მსაჯობა.

ბარემ საკვირაო ტურსაც შეგახსენებთ: „დინამო" — „მაკაბი" 13 საათსა და 30 წუთიდან დაიწყება და შემდეგ „ავიამშენი" — „ენერჯი-ინვესტი", ხოლო ბოლოს „ვიტა" — თსუ გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ზაზას ციხეს შინაური ტეხავს



ზაზა ფაჩულია „ატლანტას“ სასტარტო ხუთეულში დაბრუნდა

15 ნოემბერი

**ატლანტა 117:109 შარლოტი**

ატლანტა: ლოუ (2), ჯონსონი (34 ქულა, 10 პასი, 5 მოხსნა), მ. უილიამსი (19), სმიტი (15), ფაჩულია (18 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 პასი); ჩილდრესი (23), ჰორფორდი (13 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (3), ლუ (2), ვესტი

შარლოტი: ფელტონი (16), რიჩარდსონი (27), ვოლესი (27), ოკაფორი (6), ბრეჟეცი; ჰოლინზი (11), კეროლი (8), მაკინისი (8), დადლი (6), დევიდსონი, ჰერმანი

ზაზა ფაჩულია „ატლანტა ჰოქსის“ დამწყებ ხუთეულში დაბრუნდა. „შარლოტ ბობქეთსთან“ შინაურ მატჩში მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ახალბედა ალ ჰორფორდს გამოცდილი ფაჩულია ამჯობინა და ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „ქორების“ ძირითად ცენტრს ხუთეულში ადგილი დაუბრუნა. მაგრამ ზაზა ცოტა დამძიმებული ჩანს და ვერც ამჯერად შეძლო ქულა-მოხსნების დამაკმაყოფილებელი ოდენობით მოგროვება. 18 წუთში მან 6 ქულა და 4 მოხსნა გააკეთა, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია წინა სეზონში მის საშუალო მაჩვენებლებზე. თამაშიდან სროლებიც, 8-დან მხოლოდ 3 ჩააგდო...

სამაგიეროდ, სათადარიგოდ გამწესებულმა ჰორფორდმა თამაშში მეტი მონდომება ჩადო და მწვრთნელისგან ბოძებულ 34 წუთში 13 ქულა, 13 მოხსნა და 3 პასი გააკეთა. ძნელი სათქმელია, მომავალში ამ ორიდან რომელს უფრო ენდობა მაიკ ვუდსონი. ფაქტი ერთია — ფაჩულიას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

რაც შეეხება „ატლანტას“, ზაზას გუნდმა დამაჯერებლად აჯობა საცხრილო და გეოგრაფიულ მეზობელ „შარლოტს“. ბოლოს და ბოლოს ჩვეულად ათამაშდა „ქორების“ ლიდერი ჯო ჯონსონი, რომელმაც სეზონში უმეტესი ქულა და პასი გააკეთა. კარგი იყო ჯოშ ჩილდრესიც, ვინც ასევე სეზონში უბევრესი ქულა მიითვალა. მათმა გუნდმა კი მეტოქეს უკვე პირველ მეოთხედში მოუთავა ხელი, როცა 37:22 გაექცა და მეორე ტაიმშიც 6 ქულაზე ახლოს არ გაიკარა.

## მარბერის ჯიბეში ჩაჰბერეს



**„ნიუ იორკ ნიქსმა“** 180 ათასი დოლარით დააჯარიმა საკუთარი მოთამაშე სტივენ მარბერი იმისთვის, რომ მან თვითნებურად გააცდინა სამშაბათს „ფინიქსთან“ გასვლითი თამაში. მარბერის არც ქალთან კოტრიალი გაუტკბა და არც რაიმე საპატიო მიზეზი ჰქონია. ფინიქსისკენ გზაში, უფრო ზუსტად, საკლუბო თვითმფრინავში მას ჩხუბი მოუვიდა „ნიქსის“ თავკაც აიზია ტომასთან. ფარდებსმიღმა ისმის ხმები, რომ „ნიუ იორკის“ ლიდერი და მწვრთნელი ერთმანეთს მუშტებითაც დაერივნენ, თუმცა კლუბი ოფიციალურად, რა გასაკვირია და, არ ადასტურებს ამას.

მარბერის და ტომასის კონფლიქტი მთელი ისტორიაა. 30 წლის კალათბურთელი დღემდე ითვლება „ნიუ იორკის“ ლიდერად და მთელი ამერიკა გუნდის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად მის უსუსურ თამაშს მიიჩნევს. ტომასს ოთხივე მხრიდან და პლუს მაღლიდანაც ესმის უკმაყოფილებით სავსე შეძახილები თუ მითითებები, რომ მარბერი გუნდის მუხრუჭია, რადგან სეზონში 20 მილიონს იღებს და 2 მილიონის საქმესაც არ აკეთებს. აიზიაც მუდამ იმის ცდაშია, რომ უხიაგი და ურჩი შეგირდი აიძულოს, დაცვაში ყურადღებით ითამაშოს და გუნდის შედეგზეც პასუხისმგებლობის გრძნობა ჩაუნერგოს. წინა სეზონში ისინი ორჯერ სახალხოდ შეკამათდნენ, როდესაც ტომასმა სათადარიგოებში გადასვა მარბერი, ახლა კი საქმე ხელის შეხებამდეც მივიდა.

სამშაბათს „ნიუ იორკის“ თვითმფრინავი ფინიქსში რომ ჩაფრინდა, მარბერიმ გუნდისგან განცალკევებით დატოვა აეროპორტი. მოგვიანებით, როცა ჟურნალისტებმა მიაგნეს, მან თქვა — „მე არასდროს მსურდა გუნდიდან წასვლა, მაგრამ ახლა აქ აღარ გავჩერდები.“

გავიდა ერთი დღე. ოთხშაბათს „ნიუ იორკი“ ლოს ანჯელესში იყო, საღამოს „კლიპერსს“ შეხვდა და მარბერი უკვე მოედანზე ვიხილეთ (თამაში 13 ქულით ჩაამთავრა). „ჩვენ საუბარი გვქონდა და სტივენმა სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც გუნდში დაბრუნდა — ამბობდა აიზია — მე მოწოდებული ვარ, რომ მარბერიმ ამ გუნდის ლიდერობა იტვირთოს. ეს მასაც უნდა, მაგრამ გუნდური წარმატებისთვის მეტის გაღებაა საჭირო. ჩვენ ამაზეც ვისაუბრეთ და სტივენიც დამეთანხმა. ცუდი ისაა, რომ უბრალო სპორტული ნაბიჯების გადასადგმელად მას დიდი ცხოვრებისეული გამოცდების ჩაბარება სჭირდება.“

## სიეტლის ეტლიც დაიძრა

**მაიამი 95:104 სიეტლი**

მაიამი: დევისი (19), ვეიდი (15)

სიეტლი: უილკოქსი (20 ქულა, 10 მოხსნა), უილკინსი (19), დურანტი (18)

**ბოსტონი 91:69 ნიუ ჯერსი**

ბოსტონი: გარნეტი (16), პირსი (15), ალენი (14)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (21), კიდი (19 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი)

**კლიპერსი 84:81 ნიუ იორკი**

კლიპერსი: კამანი (14 ქულა, 18 მოხსნა)

ნიუ იორკი: რენდოლფი (16 ქულა, 19 მოხსნა), კარი (16 ქულა, 12 მოხსნა), მარბერი (13)

**ჰიუსტონი 90:93 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: მინი (26 ქულა, 13 მოხსნა), ველსი (21 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (30)

**ტორონტო 88:92 იუტა**

ტორონტო: პარკერი (19), მუნი (15)

იუტა: ბუზერი (23 ქულა, 14 მოხსნა), უილიამსი (22), კირილენკო (8 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ოქური (13)

**კლივლენდი 116:117 ორლანდო**

ძირითადი დრო 108:108

კლივლენდი: ჯეიმსი (39 ქულა, 14 პასი, 13 მოხსნა), გუდენი (23 ქულა, 12 მოხსნა), ილგაუსკასი (18 ქულა, 11 მოხსნა)

ორლანდო: ჰოვარდი (35 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება), ნელსონი (21 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ლუისი (20)

**ვაშინგტონი 103:90 ინდიანა**

ვაშინგტონი: არენასი (30 ქულა, 11 პასი), ბატლერი (25)

ინდიანა: დანიელსი (19), ონილი (17)

**მილუოკი 102:99 მემფისი**

მილუოკი: რედი (31), ბოგუტი (23 ქულა, 12 მოხსნა), მეისონი (15)

მემფისი: გაი (26), მილერი (17)

**ნიუ ორლეანი 95:76 ფილადელფია**

ნიუ ორლეანი: პიტერსონი (27), ვესტი (16)

ფილადელფია: გრინი (20), მილერი (17)

**დენვერი 110:93 პორტლენდი**

დენვერი: ენტონი (25), აივერსონი (20)

პორტლენდი: ოლდრიჯი (15)

**მინესოტა 108:103 საკრამენტო**

მინესოტა: მაკკანტსი (33), ჯეფერსონი (23), უოლკერი (19)

საკრამენტო: მარტინი (22), არტესტი (17), მილერი (17), უდრიჰი (17)

**დეტროიტი 111:104 გოლდენ სტეიტი**

დეტროიტი: ჰამილტონი (22), პრინსი (22), ვოლესი (22)

გოლდენ სტეიტი: დევისი (29 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (20), ბიედრინსი (18 ქულა, 11 მოხსნა)

არის პირველი გამარჯვება! ამ სეზონის უდავოდ საუკეთესო ახალბედას, სიეტლელ კევინ დურანტს ბოლოს და ბოლოს ელირსა ნბა-ში თავისი პირველი გამარჯვების შეგრძნება. ეგაა, მანამდე რვაჯერ მოუხდა წაგებული თამაშიდან გამოსვლა. ბოლო ხანს შიშობდა, ემნდ წაგებულის ფსიქოლოგია არ ჩამომყალიბდესო, მაგრამ აგერ მან და მისიანებმა დაჩაჩანაკებული „მაიამი“ მოიხელთეს და მისავე დარბაზში მოუგეს.

„ისეთი შეგრძნებაა, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონები დაგვემარცხებინოს — ხარობდა დურანტი ნამატჩევს — უმძიმესი ტვირთი ჩამოვიხსენით ზურგიდან.“

მაიამელთათვის კი ეს მარცხი ორმაგად მწარე იყო. ასეთ სუსტ გუნდთან ხომ წააგეს და, თანაც სეზონის დებიუტი ჩაუმწარდა გუნდის ლიდერ დუეინ ვეიდს, რომელმაც ზაფხულში ერთდროულად გაიკეთა მხრის და ქუსლის ოპერაციები და თავისიანთა პირველი 7 შეხვედრაც ამიტომ გაუცდა. ჩაფლავდა შაკილ ონილიც — მხოლოდ 10 ქულა შეაკოწიწა. მოკლედ, ვერაა კარგად პატ რალის ყოფილი სუპერგუნდის საქმე.

„სიეტლის“ დარად სეზონში პირველი გამარჯვებით გაიხარა „მინესოტამ“, ასე რომ, ლიგას ერთადერთი გაუხარებელი გუნდიღა შერჩა. „გოლდენ სტეიტმა“ ზედიზედ მეექვსედ წააგო და გაარმავა შეხედულება მასზე, როგორც ერთი სეზონის გუნდზე. სწორედ რომ „გოლდენ სტეიტის“ ანტიპოიდია „ბოსტონი“: რამდენადაც უიმედოდ ჩაიძირა პირველი, იმდენად მძლავრად ამოყვინთა მეორემ. „ბოსტონმა“ ისევ მოიგო და კვლავ დაუმარცხებლად რჩება.

კობი ბრაიანტის „ლეიკერსმა“ გასვლაზე ბრძოლაში დაამარცხა ტრესი მაკგრეიდის „ჰიუსტონი“, ოღონდ ამ ორი მძლავრი მექულის დუელი ვერ შედგა, რადგან მაკგრეიდიმ მეორე მეოთხედში იდაყვი იტკინა და ბრძოლას გამოეთიშა.

ბრძოლა, აბა, კლივლენდში იყო, თუ იყო! მასპინძელმა „კავალერისტებმა“ 53-წუთიანი ჯახი გაუმართეს ორლანდოელ „ჯადოებს“. „კლივლენდის“ ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა 39 ქულა, 14 პასი და 13 მოხსნა კი გააკეთა, მაგრამ თავისიანები მაინც ვერ იხსნა. მეტოქეთაგან საუკეთესომ დუაიტ ჰოვარდმა ოვერტაიმის დამთავრებამდე, 5,6 წამით ადრე წყვილი საჯარიმოთი ცხვირწინ ააცალა გამარჯვება ლებრონის გუნდს.

**ძოტე ყორშია**

## ბოდიში ცხენებს, ტეხასელებს, კოვბოებს და ცისფერებს

**„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“** მწვრთნელ ფილ ჯექსონს ბოდიშის მოხდა დასჭირდა სამშაბათს „სან ანტონიო სფურზთან“ შეხვედრის შემდეგ ნათქვამი ერთი ფრაზისთვის. ის თამაში „სან ანტონიომ“ 107:92 მოუგო ჯექსონის „ლეიკერსს“, თანაც 13 სამქულიანითაც წაუხდინა გუნება ლვაწლმოსილ სპეციალისტს. ნამარცხევს ჟურნალისტებთან კომენტარებში ჯექსონმა „სან ანტონიოს“ მოთამაშეები სამგზის ოსკაროსანი ფილმის „კუზიანი მთის“ პერსონაჟებს შეადარა — ისეთივე ჩუმები და თავიანთი საქმით გართულები არიანო. ძაღლის თავი კი იქაა დამარხული, რომ „კუზიანი მთის“ პერსონაჟები პროფესიით მწყემსები, გაქანებით კი „ცისფერები“ არიან.

პრესამ ცუდად მიიღო დიდი ფილის ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ როცა ამბობდა, მაშინ ყველა ჟურნალისტმა ერთხმად გაიცინა. მთქმელს მაინც მოუხდა ბოდიშის მოხდა — „უკაცრავად, თუ ჩემს ნათქვამში უნებლიეთ შევეხე ცხენებს, ტეხასელებს, კოვბოებს და ცისფერებს.“

**ძოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 7 | 0 | 100 |
| ტორონტო | 4 | 4 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 4 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 2 | 5 | 28,6 |
| ფილადელფია | 2 | 6 | 25,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 6 | 2 | 75,0 |
| კლივლენდი | 4 | 5 | 44,4 |
| მილუოკი | 3 | 4 | 42,9 |
| ინდიანა | 3 | 5 | 37,5 |
| ჩიკაგო | 1 | 5 | 16,7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 7 | 2 | 77,8 |
| შარლოტი | 4 | 4 | 50,0 |
| ატლანტა | 3 | 4 | 42,9 |
| ვაშინგტონი | 2 | 5 | 28,6 |
| მაიამი | 1 | 7 | 12,5 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 7 | 1 | 87,5 |
| ნიუ ორლეანი | 7 | 2 | 77,8 |
| დალასი | 5 | 2 | [illegible] |
| ჰიუსტონი | 6 | 3 | 66,7 |
| მემფისი | 2 | 5 | 28,6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 7 | 2 | 77,8 |
| დენვერი | 6 | 3 | 66,7 |
| პორტლენდი | 4 | 4 | 50,0 |
| მინესოტა | 1 | 5 | 16,7 |
| სიეტლი | 1 | 8 | 11,1 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 6 | 2 | 75,0 |
| კლიპერსი | 5 | 2 | 71,4 |
| ლეიკერსი | 4 | 3 | 57,1 |
| საკრამენტო | 2 | 6 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 6 | 0 |

# მსოფლიოს ჩემპიონი ქართველთა წნეხში

## გოდერძი შველიძე პრინციპულად ითამაშებს

**რაგბის საკლუბო ჩემპიონთა ლიგაში, რომელსაც „ჰაინეკენის თასი" ჰქვია, ორი ქართველის, გოდერძი შველიძისა და დავით ზერაქაშვილის „კლერმონი" თამაშობს. ჩვენი ნაკრების ორივე მორკინალი საამტურნირო განაცხადშია, მაგრამ პირველ ტურში სამატჩო 22-კაცა რაზმში ვერ მოხვდნენ. ფრანგული „კლერმონი" მეორე ტურში სტუმრად ირლანდიურ „მანსტერს" ერაგბება, იქამდე კი ამ უქმეებზე ჩემპიონატის მატჩი ელის. გუშინ საფრანგეთში საქართველოს ნაკრებისა და „კლერმონის" სტაჟიან მორკინალს, 29 წლის გოდერძი შველიძეს დავუკავშირდით და პირველი შემადგენლობაში ვერმოხვედრაზე ვკითხეთ**

— არც მე და არც დავით ზერაქაშვილს ტრავმა არ გვაქვს, პირიქით, ორივე ჯანზე ვართ და მწვრთნელს ჩვენი იმედიც აქვს. უბრალოდ, შარშანდელივით ახლაც ხშირად იქნება შემადგენლობის როტაცია და თუ ერთი მატჩი გამიცდება, მომდევნოში მოედანზე ვიქნები.

**— ესე იგი მომდევნო ტურში ითამაშებ?**

— უკვე გამოგვიცხადეს, რომ „მანსტერთან" შერკინების ბურჯები მე და დათო ვიქნებით. შუაში კი ჰუკერად სამხრეთაფრიკელი ჯონ სმიტი დადგება. ეს ის სმიტია, მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკას რომ კაპიტნობდა და ჩემპიონი გახდა. ისე გამოდის, რომ მე და „ზერაქამ" მსოფლიოს ჩემპიონების კაპიტანი შუაში უნდა მოვიქციოთ და მივპრესოთ, ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა...

**— მსოფლიოს ჩემპიონების კაპიტანი ცხვირაწეული ხომ არ დადის?**

— ამაყი და ბედნიერი კია, მაგრამ ძალიან უბრალო და უშუალო ტიპია. უკვე დამეგობრებაც მოვასწარით, თანაც შერკინებაში ხელგადახვეულები ვდგავართ და სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

**— სმიტის გარდა კიდევ დაიმატეთ სახელიანი მოთამაშეები?**

— მისი თანამემულე ფრანსუა ჟუბერი დაგვემატა. გეხსომებათ, 2001 წელს ჟუბერი სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს ჩამოჰყვა თბილისში და ჩვენს წინააღმდეგ ითამაშა. მისი დამატებით „კლერმონის" უკანა ხაზი კიდევ უფრო საიმედო გახდა.

**— ბოლო წლებია, „კლერმონი" ტრადიციულად ლიდერებშია, შარშან კი სულაც „სტად ფრანსესთან" ბოლო წამებზე წააგეთ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალი. ახლა, როდესაც გაძლიერდით, ალბათ ამ სეზონშიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ...**

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება. ამასთან „ჰაინეკენის თასზე" რაც შეიძლება შორს წასვლას გვთხოვენ. საფრანგეთის ჩემპიონატში ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზე ვართ, მაგრამ სეზონი ახალი დაწყებულია და ტემპს ნელ-ნელა მოვუმატებთ. გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტებიც საგრძნობლად გაძლიერდნენ და თუ აქამდე უშელავათო ბრძოლა იყო, ახლა დანდობა არ იქნება. „კლერმონის" მინიმუმი საპლეიოფო ოთხეულში მოხვედრაა, მერე კი საჩემპიონო რაგბი უნდა ვითამაშოთ.

**— ჩვენმა ბევრმა ვეტერანმა და ლეგიონერმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. შენ რას აპირებ?**

— ნაკრებიდან წასვლა ჩემთვის ჯერ ადრეა, მაგრამ ვერც სრულ სეზონს ვითამაშებ. პრინციპულ და მნიშვნელოვან მატჩებში კი ნაკრების მწვრთნელებს ჩემი იმედი ჰქონდეთ. ასეთ მატჩებად რუმინეთთან, პორტუგალიასთან და რუსეთთან ჯახებს მივიჩნევ.

**ბაჩო სვანიძე**



# შავებს ჰენრი არ ეთმობათ

**ახალი** ზელანდიის რაგბის კავშირის ბოსებმა გადაწყვიტეს, რომ 26 ნოემბერს გრემ ჰენრის და მის ორ თანაშემწეს ახალი კონტრაქტი შესთავაზონ. ჰენრის თავის სამწვრთნელო შტაბიანად მსოფლიოს თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ პოსტიდან გაშვებას უპირებდნენ, მაგრამ 2005-07 წლების სამი ერის ზედიზედ სამჯერ მომგებ მწვრთნელს ვეღარ ელევიან.

ახლა სიტყვა გრემ ჰენრიზეა. ის კი ასეთ კომენტარს აკეთებს: „მე, ისევე როგორც ჩემს თანაშემწეებს, სტივ ჰენსენს და უეინ სმიტს, ყველაფერი საუკეთესო გვინდა ახალზელანდიური რაგბისთვის, მაგრამ მოსაფიქრებლად დრო გვჭირდება. ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ავნოს საერთო საქმეს. „მოკლედ, პასუხი 26 ნოემბერს გვექნება".

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის თავმჯდომარე მაიკლ იგლი მწვრთნელთა საბოლოო გადაწყვეტილებამდე ქათინაურებს არ იშურებს მათ მიმართ: „მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოვედით საფრანგეთში მსოფლიოს თასზე, მე მაინც მინდა აღვნიშნო ჰენრის და მისი თანაშემწეების დამსახურება. მათი მეთაურობით „შავებმა" 48 ტესტიდან 42-ში იმარჯვეს, ზედიზედ სამჯერ სამი ერის პირველობა მოიგეს და საერთოდ, თითქმის დაუმარცხებელნი იყვნენ მსოფლიოს თასის მეოთხედფინალამდე. ამ მარცხსაც მე უიღბლობას ვაბრალებ და იმედი მაქვს, რომ მწვრთნელებისგან 26 ნოემბერს დადებით პასუხს მივიღებთ".

**ზურაბ მიგრიაული**



**მასტერსის თასი. შანხაი. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 450 000 $**

# ოქროს ჯგუფის ესპანელები


დავიდ ფერერი

### ოქროს ჯგუფი

**რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 6:4**
**დავიდ ფერერი (6, ესპანეთი) — რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) 6:1 6:1**

| | თ | მ | წ | სტ |
|---|---|---|---|---|
| დავიდ ფერერი | 3 | 3 | 0 | 6:1 |
| რაფაელ ნადალი | 3 | 2 | 1 | 5:3 |
| რიშარ გასკე | 3 | 1 | 2 | 3:4 |
| ნოვაკ ჯოკოვიჩი | 3 | 0 | 3 | 0:6 |

შანხაიში უკვე სამი ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა — ოთხშაბათს გასულ ენდი როდიკს გუშინ ორი ესპანელი, დავიდ ფერერი და რაფაელ ნადალი შეუერთდა. დარჩენილი ერთი ადგილისთვის კი დღეს როჯერ ფედერერი და ფერნანდო გონსალესი იბრძოლებენ.

ჩვენ კი გუშინდელ თამაშებს მივუბრუნდეთ, რომლებშიც ესპანელებმა ძალიან იოლად იმარჯვეს. ფერერი კი სულაც ცალკე სასაუბრო თემაა, რადგანაც ამ 25 წლის პირინეელისგან ასეთ შთამბეჭდავ ჩოგნაობას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

ამ სეზონამდე ფერერი ვიწრო სპეციალიზაციის ჩოგბურთელად მიიჩნეოდა. როგორც ყველა ესპანელი, დავიდი ხეირიან შედეგს მხოლოდ თიხნარზე აჩვენებდა. ფერერმა წლეულს მხოლოდ აშშ-ს ღია პირველობაზე აჩვენა ჰარდზე თამაშიც რომ შეეძლო და ნახევარფინალს უწია, მაგრამ ის, რასაც ეს პირინეელი შანხაის კორტებზე ჩადის, შეიძლება ხასწაული, დაერქვას.

ფერერმა ესპანური სკოლის სათამაშო სტილის მოდერნიზებული ვარიანტი შემოგვთავაზა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მეტად აქტიურ და შემტევ ჩოგბურთს უკანა ხაზიდან თამაშობს, ეს კი ბევრისთვის დიდ სიურპრიზად იქცა.

ესპანელებისთვის უკანა ხაზზე კარგად თამაში ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ისინი ძირითადად თავს იცავენ ხოლმე, ყველა ბურთისთვის ბოლომდე იბრძვიან და ფონს ძირითადად კონტრშეტევებით გადიან. შემტევი ჩოგბურთი კი ბადესთან ხშირ გასვლებთან ასოცირდება. ხოლო იმას, რასაც ფერერი აჩვენებს, შეიძლება, ამ ორი სტილის ჰიბრიდი დაერქვას — დავიდი პირდაპირ უკანა ხაზიდან უტევს, თან ისე ზუსტად და ძლიერად, რომ ქულების მოსაპოვებლად ბადესთან გასვლაც კი არ სჭირდება.

ბევრისთვის ეს უცნაურია, მაგრამ ფაქტი სახეზეა — ფერერი მშვენივრად გამოიყურება, შანხაიში სამივე შეხვედრა მოიგო და ნაჩვენები თამაშის ხარისხს თუ შევხედავთ, შესაძლოა, მასტერსის თასის უეჭველ ფავორიტადაც მივიჩნიოთ.

რიშარ გასკეს ფერერი საერთოდ უპრობლემოდ გაუსწორდა — ფრანგის დამარცხებას მან 59 წუთი ამყოფინა და სულ რაღაც ორი გეიმი აალებინა. ამით დავიდი ნადალსაც დაეხმარა და რაფას ნახევარფინალის საგზური გაანაღდებინა. მაგრამ ნურც ნადალს დავუკარგავთ გარჯას, რომელმაც თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა და ნოვაკ ჯოკოვიჩი ორ სეტში წააქცია. ნამატჩევს მალიორკელი მეტად კმაყოფილი იყო:

„დღეს მართლა კარგად ვითამაშე. ეს შანხაიში ჩატარებული ჩემი საუკეთესო მატჩი იყო. ასე რომ, მომავალს იმედიანად ვუყურებ, რადგანაც მგონია, მომატება კიდევ შემიძლია".

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ჯოკოვიჩის ფიასკოც. წლის მთავარი აღმოჩენისგან ამდენად უხეირო და სრულიად უჯბილო თამაშს არავინ მოელოდა. სერბმა ჩინეთში სამივე შეხვედრა წააგო და თან ისე, რომ სეტიც კი არ მოუგია. ამიტომაც მატჩის შემდეგ ბალკანელი თითქოს თავს იმართლებდა:

„აქ ჩამოსვლისას ნამდვილად არ მეგონა, ასე ცუდად თუ წამივიდოდა საქმე. გულშემატკივრები ბევრს ელოდნენ, მე კი ყველას იმედები გავუცრუე. თავის მართლებისთვის არც გამოდგება, მაგრამ სეზონმა მაგრად გადამღალა და ახლა დასვენება სულზე მომისწრებს. სადმე შორს წავალ და ყველასგან დავიმალები, რომ ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ მომწვდეს და კარგად დასვენება მოვახერხო. გპირდებით, იანვარში ახალ ჯოკოვიჩს იხილავთ".

**ძახა ლოგუაშვილი**

კრივი

# იმერული თადარიგი
## ჩინეთის გზა რომზეც გადის


თენგიზ მესხაძე

ბადრი ქათილაძის ფოტო

**მსოფლიოს** ჩემპიონატიდან დაბრუნებული ქართველი მოკრივეები მომავალი სეზონისთვის მზადებას დღე-დღეზე შეუდგებიან. ჩიკაგოს რინგზე ნამყოფ შეგირდებს თენგიზ მესხაძემ დასასვენებლად დრო მისცა. უკვე ათი დღე გავიდა და ნაკრების თავკაცს გუშინ მოსამზადებელი გეგმის შესახებ ვკითხეთ.

„ახლა ზუსტად მაგ საკითხზე ვმუშაობ კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად. კონკრეტულ თარიღს ალბათ დღესხვალ დავაზუსტებთ. ამჯერად კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ დაახლოებით 20 ნოემბრიდან შევკრებ ბიჭებს. ქუთაისში, სავარაუდოდ, საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ ბაზაზე დავბინავდებით და ზედიზედ ორ თერთმეტდღიან შეკრებას გავივლით. წლის ბოლოა და ფედერაციის ფინანსური შესაძლებლობები თითქმის ამოწურულია. ამიტომ ჩემს მიერ ნახსენებ მოსამზადებელ ეტაპზე მხოლოდ ის ბიჭები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებმაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის უნდა იბრძოლონ“ — გვითხრა **თენგიზ მესხაძემ.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ერთი ლიცენზიაც ვერ ჩამოიტანა და იმედად მომავალ წელს ჩასატარებელი ორი საერთაშორისო ტურნირიღა დარჩენია. ჩინეთის ბოლო საგზურები თებერვალში რომში და აპრილში ათენში გათამაშდება.

მწვრთნელისვე სიტყვებით, სავსებით შესაძლებელია, ამ ორი ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად გუნდი ერთ საერთაშორისო ტურნირზეც გამოვიდეს. ალბათ ეს 19-23 დეკემბერს ჩასატარებელ ყაზახურ შეჯიბრზე მოხდება.

აქედანვეა გათვლილი იანვრის გეგმაც. მესხაძის გუნდი ახალ წელს ბაკურიანული შეკრებით დაიწყებს და მას ბორჯომს მიაყოლებს. დეკემბრის შეკრებებისგან განსხვავებით, მათში მონაწილეობას უკვე ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა მიიღებს. უკვე დაწყებული მოლაპარაკება ერთ-ერთ უცხოურ ნაკრებთან ერთობლივად ვარჯიშის თაობაზეც, მაგრამ კონკრეტულად რომელ ქვეყანაზეა საუბარი, კრივის ფედერაცია ჯერ არ ახმაურებს.

**ოთარ ჩალლაძელიძე**

# მარგარიტოს კოტოც მოუნდა

**ანტონიო მარგარიტოს** მიგელ კოტოსთან დატაკება ამოუჭრია გულში. შეგახსენებთ, რომ ორივე ეს მოკრივე ბოლოს რინგზე ამ უქმეებზე გავიდა და ორივემ იმარჯვა — კოტომ შეინ მოზლი დაამარცხა და ამით საკრივო ელიტისკენ გაიკვალა გზა. მარგარიტომ კი ტიტულის დაკარგვის შემდეგ თავისი პირველი ბრძოლა გამართა და ძალიან შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოიპოვა, რადგან ამერიკელი გოლდენ ჯონსონი პირველივე აპერკოტით დააგდო ფიცარნაგზე და საქმე საწყის რაუნდში მოუთავა.


ანტონიო მარგარიტო

ამ გამარჯვებით გულმოცემულ მარგარიტოს ახლა კოტოსთან ჩხუბი უნდა, ეს ბიჭი ძალიან მაგარია და მეც მხოლოდ საუკეთესოებთან მინდა რინგზე გასვლაო:

„ჯონსონის გალახვის შემდეგ კოტოსთან დაჯახება მშვენიერი იქნებოდა. ეს ჩემი უახლოესი მიზანია. მე ვუყურე კოტოსა და მოზლის ჩხუბს და კარგად ვნახე, რომ მიგელმა მეტოქეს აჯობა. ის დღეისთვის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივეა მსოფლიოში, შეიძლება, საუკეთესოც“.

# ოღონდ არ იყოს ფრე

**ოსკარ დე ლა ჰოია** გამალებით ეძებს თავის მომავალ მეტოქეს. მართალია, ბოლო ბრძოლა ფლოიდ მეივეზერთან წააგო, მაგრამ „ოქროს ბიჭი“ რინგის მიტოვებას არც კი ფიქრობს — კვლავაც არ დაუკარგავს მუშტების ქნევის სურვილი და სერიოზული ჯახის გამართვაც უნდა. ამისთვის კი ტიტულიანი მეტოქეა საჭირო და დე ლა ჰოიამაც თვალი ბრიტანელ რიკი ჰატონს დაადგა.

ერთი ეგაა, რომ ჰატონმა უკვე შეათანხმა მეივეზერთან ჩხუბი, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება და ბევრის ვარაუდით, სწორედ ამ ჯახში გაირკვევა მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის ვინაობა წონის მიუხედავად.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ჯახში დე ლა ჰოია ჰატონის მხარესაა. მარტო იმიტომ კი არა, რომ თავისი ძველი გამამწარებლის დამარცხება გაუხარდება, საქმე იმაშია, რომ „ოქროს ბიჭს“ ჩემპიონ ჰატონთან სწადია დატაკება და არა მეივეზერისგან გალახულ მოკრივესთან. ეს ხომ ფინანსურადაც წამგებიანი იქნებოდა და არც ოსკარის რენომეს ეკადრება.

უკვე ჭორებიც დადის, დე ლა ჰოიამ ჰატონს ბრძოლის გამართვა შესთავაზა და სავარაუდო თარიღად 2008 წლის 3 მაისი დანიშნა — ოღონდ „ოქროს ბიჭს“ იქვე დაუმატებია, ეს იმ შემთხვევაში, თუ მეივეზერს მოუგებო.

საინტერესოა, რას იზამს დე ლა ჰოია, მეივეზერ-ჰატონის ჯახი ფრედ რომ დასრულდეს?

**კახა ლომჯარიძე**

მაგიდის ჩოგბურთი


გიორგი ჭანიშვილის ფოტო

# კვირა სიურპრიზით დასრულდება

**დღეს** საქართველოს პირველობა დაიწყო მოზარდ და ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა შორის. ტურნირს ბოჭორმის 14-ში მდებარე სპორტული ცენტრი მასპინძლობს და მასში 100 გოგო და ბიჭი გამოცდის ძალებს. სპონსორობას „ავსტრიის ავიახაზები“ გაწევს და მას პოლონეთის საელჩო დაეხმარება.

გუშინ ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია იქვე, სპორტულ ცენტრში, გაიმართა. მედიას სიტყვით მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ რამაზაშვილმა, „ავიახაზების“ წარმომადგენელმა თამარ ვარდიაშვილმა და პოლონეთის ელჩმა იაცეკ მულტანოვსკიმ მიმართეს.

*თემურ რამაზაშვილი:* ეს ჩემპიონატი აშკარად მასშტაბურია წინამორბედებთან შედარებით. მართალია, ყველა რეგიონიდან ვერ ჩამოვიდნენ, მაგრამ 100 ბავშვი მაინც მოგროვდა. გვინდა, მაგიდის ჩოგბურთი პოპულარული გახდეს. საქართველოში ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა იზრდება და სურვილი გვაქვს, მათ მომავალში საოლიმპიადო ლიცენზიისთვის იბრძოლონ.

*იაცეკ მულტანოვსკი:* გატაცებული ვარ მაგიდის ჩოგბურთით. მინდა, ეს სპორტი საქართველოშიც პოპულარული გახდეს. თანაც, თემურ რამაზაშვილი ჩემი პირადი მწვრთნელი გახლავთ.

*თამარ ვარდიაშვილი:* გამორჩეულებს პრიზებით დავაჯილდოვებთ, გვექნება სურპრიზიც, რასაც კვირას ტურნირის დამთავრების მერე გავუმხელთ საზოგადოებას.

**ლევან მაისურაძე**

სუმო

# კოკაის დღე პოპაის ჩამწარდა

**კოკაიმ** ნოემბრის ბაშოს ტრადიცია არც გუშინ დაარღვია და მოგება-წაგების სერია მესამე მოგებით გააგრძელა. დადებითი ბალანსი ლევან ცაგურიამ ამჯერად რიგით მაეგაშირა ვაკაკირინასთან შეიქმნა. ორმხრივი ცუპარების შემდეგ მეტოქეს მომგებიანი ილეთი — ხიკიოტოსი გაუკეთა. დღეს კი ჩვენებური კიდევ ერთ რიგით მაეგაშირას, იოსიკაძეს დაეჭიდება.



მეხუთე ტურის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა ექსსეკივაკე ვაკანოსატოს მარცხი გახდა. გუშინდლამდე პოპაი ასპროცენტიანი მაჩვენებლით მივიდა და ლიდერობას 33 წლის ტოჩინონადამ ჩამოაცილა.

ვაკანოსატოსგან განსხვავებით, წაუგებელი სვლა განაგრძეს ოძეკი ტიოტაიკაიმ და აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა ბალტმა. იმპერატორის თასის სამგზის მომგებმა ტიოტაიკაიმ დოჰიოდან 185-კილოგრამიან მიაბიამას გადაუძახა, ხოლო ესტონელმა კაიდო ჰიოველსონმა მეხუთე ქულა ოსი ხაკუროზანის ძლევით მიითვალა.

საუკეთესოშედეგიან დუეტს ერთი ნაბიჯით ჩამორჩებიან იოკოძუნა ხაკუხო, ოძეკი კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები: ტოინოსიმა, გოეიდო და ვაკანოსატო. განსაკუთრებით საინტერესო ბრძოლა ამ ხუთეულიდან გუშინ ტოინოსიმამ გადაიტანა. 170-სანტიმეტრიანმა პატარა დევმა 175-კილოგრამიანი გიგანტი ტოიოხიბიკი გადასანსლა.

დაბოლოს, ტრავმის გამო ფუკუოკურ ბაშოს ნაადრევად გამოაკლდა ექსკომუსუბი ტაკამისაკარი. არადა, ოთხი ტურის შემდეგ მის ანგარიშზე სამი ქულა იყო.

**ოთარ ჩალლაძელიძე**

ავტორბოლა

ერთი წლის შემდეგ „ფერარის" საჭესთან დროებით დაბრუნებული მიხაელ შუმახერი ბარსელონაში ტესტების მეორე დღესაც ყველაზე სწრაფი იყო. 38 წლის გერმანელმა ექსმეფორმულემ ოთხასი კილომეტრი გაიქროლა და საუკეთესო წრეზე თავისივე წინა დღის შედეგი ნახევარი წამით გააუმჯობესა — 1 წუთი, 21,5 წამი. შუმის ასეთმა წარმატებულმა ჯირითმა ბუნებრივია, საყოველთაო გაკვირვება და აღტაცება გამოიწვია. ინგლისურმა პოპულარულმა გამოცემა „აუტოსპორტმა" ბარსელონაში ვარჯიშის შემდეგ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ინტერვიუ ჩამოართვა


AFP ბარსელონიდან

# მიხაელ შუმახერი: მშვიდად ცხოვრება არ შემიძლია

**— გაკვირვებული ხართ ფორმულა 1-ში მოულოდნელი დაბრუნებით?**

— ბოლო რამდენიმე კვირაში ბევრი ისეთი რამე გავაკეთე, რასაც სულაც არ ვგეგმავდი — მაგალითად, „მოტო გრან პრის" მოტოციკლის ტესტირება. მუჯელოში, „ფერარის" კორპორატიულ ღონისძიებაზე შევხვდი ჩემს მეგობარს „ფილიპ მორისიდან", მაურისიოს და ხუმრობით ვკითხე, ხომ არ იყო მოტოციკლის საჭესთან დაჯდომის შანსი. რამდენიმე დღეში მან დამირეკა და მაცნობა, რომ მომავალ ორშაბათს ტრასაზე უნდა ვყოფილიყავი. იგივე ეხება ბარსელონაში ტესტებს, ჩვენ ის წინასწარ არ დაგვიგეგმავს, მხოლოდ ორიოდე დღის წინ მივიღე გადაწყვეტილება.

ძალიან მომეწონა, მიხარია, რომ წინანდებურად კონკურენტუნარიანი ვარ და შემიძლია, გუნდს დავეხმარო. ჩემმა ასეთმა ხანგრძლივმა არყოფნამ გარდაუვალი კითხვები წარმოშვა, მაგრამ, მგონი, ყველაფერი კარგად გამოვიდა!

**— ახალი გამოწვევის მიღების მოთხოვნილებას არ გრძნობთ?**

— ჩემს ცხოვრებაში გამოწვევას ყოველთვის აქვს ადგილი, ამას წინათ პარაშუტისტის ლიცენზია მივიღე. მომწონს, როცა საკუთარ თავს რაღაც ახალს აღმოვუჩენ ხოლმე. მშვიდი ცხოვრება — ეს ჩემთვის არაა.

**— როგორ იქცევა მანქანა ტრექშენ-კონტროლის გარეშე?**

— უარესად, ვიდრე იმ დროს, როცა ჩვენ ამ ელექტრონიკის გარეშე ვრბოლობდით. ბევრი რამ შეიცვალა. უკვე აღარაა ათცილინდრიანი ძრავები, აღარაა სიმძლავრის მარაგი, რომელიც სიჩქარეთა კოლოფთან თავისუფლად მუშაობის საშუალებას გაძლევდა.

**— რა არის ყველაზე რთული, ნელი მოსახვევები?**

— დიახ, თუმც არც ჩქაროსნულ მონაკვეთებზეა იოლი.

**— „ფერარის" მანქანის საბოლოოდ დამუშავებაში დაეხმარებით?**

— ჩემს დაკვირვებებზე გუნდს ტესტების შემდეგ მოვუყვები, ჯერჯერობით ჩემი როლი ამით შემოიფარგლება.

**— ჩაჯექით თუ არა მანქანაში, მაშინვე სწრაფად გააქროლეთ...**

— გარკვეული დრო მაინც დამჭირდა, რათა უწინდელი შეგრძნებები გამეხსენებინა, სულ ორიოდე წრე, მერე კი ყველაფერი დალაგდა. იცით, თავადაც გაკვირვებული ვარ შედეგით.

**— დილით, ტესტების დაწყებამდე, რას გრძნობდით?**

— სასიამოვნო აღელვებას. ხელახლა ვიგრძენი თავი 18 წლისად.

**— ასეთი შედეგების შემდეგ შესაძლოა, ხელახლა შემოგთავაზონ კონტრაქტი...**

— არა მგონია, თანაც ვაკანსია არაა.

**— რას ელით საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სააპელაციო სასამართლოს სხდომისგან?**

— გაკვირვებული ვიქნები, თუ ეს გადაწყვეტილება კიმი რაიკონენის ჩემპიონობაზე იმოქმედებს. მე პრეზიდენტ მაქს მოსლის გამონათქვამი მოვისმინე, რომ ცალკეული მანქანების დისკვალიფიკაციას არ უნდა მოჰყვეს რბოლის შედეგების გადახედვა. თუმც წლეულს ყველაფერია შესაძლებელი. ჩემპიონატი დასრულებულია, მისი შედეგი ტრასაზე, პატიოსან ბრძოლაში გაირკვა და რაიმეს შეცვლის საჭიროება არაა.

**— რას ფიქრობთ როს ბრაუნის „ჰონდაში" მისვლაზე?**

— მან თავისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და დამირეკა, რათა ამაზე ეთქვა. როსმა 10 წლის წინათ სერიოზული გამოწვევა მიიღო — „ფერარიში" მოვიდა და წარმატებასაც მიაღწია. ახლა შეუძლია, იგივეს „ჰონდაში" მიაღწიოს.

ჭადრაკი

# ჩემპიონთა ლიგა ტოპალოვმა მოიგო



**ესპანურ** ვიტორია-გასტეისში ფიდეს ეგიდით მიმდინარე ტურნირი — „ჩემპიონთა ლიგა" — დასრულდა. ათი თამაშიდან 7 ქულით პირველ ადგილზე ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი გავიდა და მეორეზე გასულ უკრაინელ რუსლან პონომარიოვს 1,5 ქულით აჯობა. გადამწყვეტი მეცხრე ტური გამოდგა, როცა ბულგარელმა უკრაინელს თეთრებით მოუგო და მთავარი კონკურენტი მეორეზე ჩაუშვა.

ხუთ-ხუთი ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს უნგრელმა იუდიტ პოლგარმა და რუმინელმა ლივიუ-დიტერ ნისიპიანუმ. მსოფლიოს საუკეთესო ქალმა ბოლო ტურში ტოპალოვთან თეთრებით წააგო, ნისიპეანუ კი შავებით რუს ანატოლი კარპოვს დაუზავდა.

მეხუთეზე 4,5 ქულით უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი გავიდა. აზიელმა მოჭადრაკემ დასკვნით ტურში პონომარიოვს მოუგო შავებით. ბოლო ადგილი კი მსოფლიოს მე-12 ჩემპიონ კარპოვს ხვდა სამი ქულით.

**ლუკა გეგეჭკორი**

## მიხაილ ტალის მემორიალი მოსკოვი. რუსეთი. 9-23 ნოემბერი

V ტური

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |
| დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

# კრამნიკმა შიროვზე გაიმარჯვა



**მეხუთე** ტურში ვლადიმირ კრამნიკმა ალექსეი შიროვი დაამარცხა და ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მსოფლიოს ექსჩემპიონს 3,5 ქულა აქვს და მეორეადგილოსნებს ნახევარი ქულით უსწრებს.

კრამნიკმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და პარტია თავისი საყვარელი კატალონიური დებიუტით დაიწყო. რუსმა ხელმწიფე საიმედოდ გადამალა, მარცხენა ფლანგზე ლაზიერი მსუბუქ ფიგურებთან ერთად გადმოსვა და იერიშისთვის შეამზადა. შიროვმაც ლაზიერის ფლანგზე გადმოსხა დესანტი, კრამნიკს მძიმე ძალები დაუპირისპირა და გაცვლებს მიმართა. თეთრებმა ხელმწიფის ფლანგიდან შეუტიეს, ხაზის პაიკი მერვე ჰორიზონტალთან მიიყვანეს და 51-ე სვლაზე იმარჯვეს.

მაგნუს კარლსენი კი შავი ფიგურებით ვასილ ივანჩუკს 93-ე სვლაზე დაუზავდა და მეორე ადგილზე ჩაცურდა.

**ლუკა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

1. ვლადიმირ კრამნიკი — 3,5
2. მაგნუს კარლსენი — 3
3. შაჰრიარ მამედიაროვი — 3
4. ევგენი ალექსეევი — 2,5
5. ბორის გელფანდი — 2,5
6. პეტერ ლეკო — 2,5
7. ალექსეი შიროვი — 2
8. გატა კამსკი — 2
9. დმიტრი იაკოვენკო — 2
10. ვასილ ივანჩუკი — 2

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

14 ნოემბერი

**კოლუმბუსი 4:2 ჩიკაგო**
*1:1 2:0 1:1*
0:1 კეიტი (13), 1:1 ნეში (15), 2:1 ფიოდოროვი (21), 3:1 ფრიჩი (30), 4:1 ჩიმერა (50), 4:2 ბაიფულინი (58)

**ნიუ ჯერსი 2:4 რეინჯერსი**
*1:1 0:2 1:1*
1:0 ლანგენბრუნერი (1), 1:1 დრეიხი (2), 1:2 დუბინსკი (22), 1:3 იაგრი (40), 1:4 სტაალი (45), 2:4 ლანგენბრუნერი (48)

**ვანკუვერი 0:1 ედმონტონი**
*0:0 0:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

**ტამპა 6:1 კაროლინა**
*0:0 5:0 1:1*
1:0 რეინჯერი (22), 2:0 ლეკავალიე (25), 3:0 სენ ლუი (33), 4:0 ლეკავალიე (35), 5:0 პროსპალი (40), 5:1 ჰემილტონი (48), 6:1 ლეკავალიე (55)

**დალასი 3:4 სან ხოსე**
*1:3 0:0 2:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 მიტჩელი (10), 1:1 ლეჰტინენი (16), 1:2 სეტოგუჩი (19), 1:3 მარლო (20), 2:3 მოროუ (46), 3:3 ჰაგმანი (47)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო ხილაგაძე, ნუგრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის/ რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge